პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 5 აპრილი, 1946 წ. № 69 (7542). ფასი 20 კაპ.

ივერიონი

დღეს გაზეთში:

მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმა! „პრავდის" 4 აპრილის მოწინავე. (1-ლი გვერდი).

„მეტი სტახანოვური ჰექტარები!". (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება: პარტიული ორგანიზაციის დახმარებით; მოწოდება ახალი შრომითი გმირობისაკენ. (მე-3 გვერდი).

მეოთხე სტალინური ხუთწლედის მშენებლობანი [illegible] ჰიდროელექტროსადგური. (მე-3 გვერდი).

სასადილოების მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს. (მე-3 გვერდი).

ა. დიაკოვი — ინდოეთი და მისი ხალხები. (მე-4 გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში. (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები—დეპეშები. (მე-2 და მე-4 გვერდი).

მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმა!

საბჭოთა ხალხი შეუდგა ომისშემდგომი პირველი სტალინური ხუთწლედის შესრულებას. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გრანდიოზული პროგრამა უკვე მოქმედებაშია. დამთავრდა 1946 წლის—ახალი ხუთწლედის პირველი წლის პირველი კვარტალი. მუშათა კლასი, გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია თავდადებული შრომით ახორციელებენ დიად სამუშაოთა სტალინურ გეგმას.

უმოკლეს ვადაში რომ მივაღწიოთ ომამდელ დონეს, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის გადავაჭარბოთ მას, გეგმა წარმატებით უნდა შევასრულოთ ყოველდღე. ხუთწლედი არა მარტო ჩვენი მომავალია, არამედ ჩვენი აწმყოც არის. ის, ვინც წარმატებით მუშაობდა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, ის, ვინც შრომის ფრონტზე საბჭოთა ხალხის ახალი შეტევის მოწინავე პოზიციებზე იყო, — ის ხუთწლედის მოწინავეა.

1946 წლის პირველი კვარტალის შედეგები მოწმობენ სოციალისტური ინდუსტრიის ახალ წარმატებებს. კვარტალური გეგმა შეასრულა ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობამ. აღდგენის პროცესში მყოფმა დონეცის ქვანახშირის აუზმა გადაჭარბებით შეასრულა სამი თვის პროგრამა. შავი მეტალურგია გამოვიდა ზამთრის სიძნელეთა პერიოდიდან და მარტში შეასრულა მთელი მეტალურგიული ციკლის — ესე იგი თუჯის გამოდნობის, ფოლადის გამოდნობისა და ნაგლინის წარმოების გეგმა. გასული წლის მარტთან შედარებით თუჯის გამოდნობა გაიზარდა 15 პროცენტით, ფოლადის გამოდნობა — 22 პროცენტით, ნაგლინის წარმოება — 18 პროცენტით.

წარმატებით შეასრულა რკინიგზის ტრანსპორტმა დატვირთვის პირველი კვარტალის გეგმა. წლის პირველი — ზამთრის — თვეები მეტად დაძაბული იყო მთელ რიგ რკინიგზებზე ნამქერის გამო. მიუხედავად ამისა, მოწინავე რკინიგზელებმა დასძლიეს სიძნელეები და თავი გაართვეს სახელმწიფო დავალებებს.

ქვანახშირის მრეწველობის, შავი მეტალურგიისა და რკინიგზის ტრანსპორტის ახალი წარმატებები ხელსაყრელ პირობებს უქმნიან სახალხო მეურნეობის ყველა დარგს. პირველი კვარტალის შედეგები მოწმობენ სოციალისტური ინდუსტრიისა და რკინიგზის ტრანსპორტის უდიდეს შესაძლებლობებს. ამავე დროს ისინი გვიჩვენებენ, რომ ყველა შესაძლებლობა როდია გამოყენებული. მრეწველობის მოწინავე დარგებთან ერთად არიან ჩამორჩენილი დარგები, რომლებიც ვერ ასრულებენ გეგმას, რომლებმაც უნდა გააძლიერონ მუშაობა. და აქ უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაზე.

ცნობილია, თუ რა მნიშვნელობას აძლევენ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოფლის მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღებას. მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის წარმატებებისაგან მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მთელი სახალხო მეურნეობის მიღწევებიც. ჩვენი ქვეყნის სასურსათო რესურსების გადიდება საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ მშრომელთა მომარაგება. 1946 წლის შემოდგომიდან გაუქმდება პურის, ფქვილის, ბურღულისა და მაკარონის ნაწარმის ბარათები. მიმდინარე და მომავალი წლების განმავლობაში უნდა განხორციელდეს მოსახლეობის ბარათებით ნორმირებული მომარაგებიდან გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა. მაშასადამე, ბრძოლა სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და განვითარებისათვის, ბრძოლა პურისათვის უმნიშვნელოვანესი საერთოსახალხო საქმეა. მრეწველობა ვალდებულია მთლიანად და ვადაზე შეასრულოს სოფლის მეურნეობის ყველა დაკვეთა ტრაქტორებზე, კომბაინებზე, სათეს და მოსავლის ასაღებ ინვენტარზე, მანქანებისა და იარაღების სამარაგო ნაწილებზე.

პირველ კვარტალში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქარხნებს სოფლის მეურნეობის ვალი დაედოთ. ეს მთელი რიგი მიზეზებით აიხსნება. ერთის მხრივ, ბევრი საწარმო ნელა გადადის მშვიდობიან ყაიდაზე და აჭიანურებს ომისშემდგომი გარდაქმნის პროცესს. მეორე მხრივ, მთელ რიგ შემთხვევებში ნელა ხდება იმ ქარხნების აღდგენა, რომლებიც გერმანელმა ოკუპანტებმა დაანგრიეს. კიროვოგრადის ქარხანა „კრასნაია ზვეზდამ" თესვის კამპანიისათვის უნდა მოგვცეს ტრაქტორისა და ცხენის სათესი მანქანები. მაგრამ აქ აღდგენით სამუშაოებზე სულ... 150 კაცი მუშაობს. იანვარსა და თებერვალში კაპიტალურ სამუშაოთა კვარტალური დავალება ერთ მესამედზე უფრო ნაკლებად იყო შესრულებული. ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ოდესის ქარხანამ თესვის კამპანიისათვის უნდა მოგვცეს ტრაქტორის გუთნები. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დამდეგისათვის აღდგენილი უნდა ყოფილიყო ფოლადთუჯსამსხმელო, სახნისებისა და სამჭედლო-საწნეხო საამქროები. მაგრამ მშენებლებმა ეს სახელმწიფო დავალება არ შეასრულეს. „როსტსელმაშის" გიგანტური ქარხნის აღდგენაზე მხოლოდ 300-მდე კაცი მუშაობს. საკვირველი არ არის, რომ სამშენებლო სამუშაოთა არც შარშანდელი და არც კვარტალური გეგმები აქ არ სრულდება.

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ამ ფაქტებიდან?

ჯერ ერთი, საჭიროა გადაჭრით დაჩქარდეს საწარმოთა გადასვლა სამოქალაქო პროდუქციის დამზადებაზე. მეორე, უახლოეს დღეებსა და კვირეებში მკვეთრად უნდა გაძლიერდეს მშენებლობის ტემპები გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეულ ქარხნებში. სამშენებლო ორგანიზაციები უნდა დაკომპლექტდეს მუშა ხელით და გაუმჯობესდეს სამშენებლო მასალებით მომარაგება. დრო არ ითმენს. თვითეული დღის დაყოვნებას მრეწველობაში შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაზე.

ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოები, ომისშემდგომი გარდაქმნის პროცესში იმყოფება სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, რომელიც მოწოდებულია ახალი ტექნიკით აღჭურვოს ჩვენი რკინიგზები. პირველ კვარტალში შესრულებულია ლოკომოტივების გამოშვების დავალება და მნიშვნელოვნად გადიდებულია ვაგონების გამოშვება. მაგრამ რკინიგზის ტრანსპორტის დაკვეთა მთლიანად შესრულებული არ არის. ორთქლმავლებისა და ვაგონების წარმოება დავალებული აქვთ დაზგათმშენებლებს, რომლებმაც ომის დროს დიდი ტექნიკური და ორგანიზაციული გამოცდილება დააგროვეს და რომელთაც უნარი შესწევთ მოკლე დროში მოაწყონ ახალი პროდუქციის გამოშვება. ჩვენს ქვეყანას უფლება აქვს იმედი იქონიოს, რომ უკვე აპრილში მთელი სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა შეასრულებს სახელმწიფო გეგმას და საბჭოთა მრეწველობის მოწინავე დარგთა რიგში ჩადგება.

ჩვენი მრეწველობა შევიდა მეორე კვარტალში, რომელიც მნიშვნელოვანწილად გადამწყვეტია მთელი წლიური გეგმის შესრულებისათვის. მეორე კვარტალში საწარმოო პროგრამა უფრო დიდია, ვიდრე პირველში. აპრილი, მაისი, ივნისი უნდა გახდეს შავი და ფერადი ლითონების წარმოების, ქვანახშირისა და ნავთის მოპოვების, ელექტროენერგიის გამომუშავების, სამანქანათმშენებლო პროდუქციის გამოშვების შემდგომი გადიდების პერიოდად!

მეორე კვარტალში იხსნება სეზონი სახალხო მეურნეობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის. უახლოეს დროში უნდა დაიწყოს ტორფის მოპოვება. ახლოვდება ზამთარში დამზადებული ხე-ტყის დაცურების დასაწყისი. ცოტა დღეებიღა დარჩა მდინარეებზე ნაოსნობის დაწყებამდე. მთელი ენერგიით უნდა დავამთავროთ მზადება სეზონური სამუშაოებისათვის! აქაც ყველაფერი როდია გაკეთებული. მაგალითად, მთელ რიგ ტორფის საწარმოებიდან იტყობინებიან, რომ მოწყობილობა მოუმზადებელია, ჩამოსული მეტორფეებისათვის ბინების რემონტი ჭიანურდება. როგორც სჩანს, ტორფის მრეწველობის ზოგიერთ მუშაკებს დაავიწყდათ შარშანდელი გაკვეთილები, დაავიწყდათ, რომ ტორფის ნაწილი არ იყო გამომშრალი, აკრეფილი და ელექტროსადგურებში მიტანილი. მოუქნელ სამეურნეო მუშაკებს გამორჩათ გაზაფხულის პირველი დღეები, ტორფის მოპოვება დაგვიანებით დაიწყეს, ხოლო შემოდგომაზე მათ ისღა დარჩათ, რომ ეწუწუნათ ცუდ ამინდზე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შარშანდელი შეცდომების გამეორება!

შარშანდელი შეცდომები უნდა გავახსენოთ ჩვენს მეწდინარეებსაც. შარშან ნაოსნობის დასაწყისისათვის ბევრი გემი რემონტიდან ვერ გამოუშვეს. ახლაც ყველა გემი როდია მზად პირველი რეისისათვის, ხოლო ვოლგაზე, სტალინგრადის რაიონში უკვე დაიწყო ყინულის დნობა. მიმდინარე წელს სამდინარო ტვირთზიდვის გეგმა გაცილებით მეტია შარშანდელზე, და ეს გეგმა ნაოსნობის პირველი დღეებიდანვე უნდა შესრულდეს.

ქალაქებსა და სოფლებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, საბჭოთა დაწესებულებებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში მუშები, გლეხები, ინტელიგენცია უდიდესი აღმავლობით იხილავენ ხუთწლიან გეგმას. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდის ცნობები ახალი ხუთწლედის მოწინავეთა შრომითი წარმატებების შესახებ. 1 აპრილს „პრავდა" იუწყებოდა ახალგაზრდა დონეცელი მეშახტის ნიკოლოზ ლუკიჩევის თვალსაჩინო მიღწევის შესახებ. მან ცვლაში მოსამზადებელ სამუშაოებზე 20-ზე მეტი ნორმა შეასრულა. ნიკოლოზ ლუკიჩევმა განაცხადა, რომ იგი ებმება შეჯიბრებაში ახალი ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. კარგი საქმე წამოიწყო ნიკოლოზ ლუკიჩევმა! დნეპრშენიდან იუწყებიან, რომ გაჩაღებულ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა ბიტონის ქარხნის მოტორისტ ქალთა ბრიგადამ, რომელსაც სტახანოველი დუსია ოლეინიკი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს თავის საწარმოო დავალებებს. ისეთი ადამიანები, როგორიც ნიკოლოზ ლუკიჩევია, როგორიც დუსია ოლეინიკია, მშრომელთა ახალი მასობრივი შეჯიბრების წამომწყებები ხდებიან, შეჯიბრებისა, რომელიც დაგვეხმარება თავი გავართვათ 1946 წლის დიდ და რთულ ამოცანებს.

სოციალისტური ინდუსტრიის ახალი წარმატებებისათვის!

ახალი სტალინური ხუთწლედის პირველი წლის სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მთლიანად და გადაჭარბებით!

„პრავდის" 4/IV მოწინავე

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის № 3 პრეს-კომუნიკე

ხეიძიო, 1 აპრილი. (საკდესი). სეულში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მესამე კომუნიკე გენერალ შტიკოვისა და გენერალ არნოლდის ხელმოწერით. კომუნიკეს შინაარსი შემდეგია:

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივმა კომისიამ 25-29 მარტის სხდომებზე გენერალ შტიკოვის თავმჯდომარეობით გულმოდგინედ შეისწავლა და ანალიზი გაუკეთა ამოცანებს, რომლებიც კომისიას დაკისრებული აქვს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის მიერ კორეის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების III ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტებით. ამ ანალიზისა და სსრ კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად ერთობლივმა კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

კომისიის მუშაობა გაყოფილი იქნება ორ ეტაპად. პირველი ეტაპია სამი საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვის თათბირის მიერ კორეის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შესრულება და მეორე ეტაპი — ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის შესრულება.

მუშაობის პირველი ეტაპი მოიცავს შემდეგი საკითხების გადაწყვეტას: 1) პირობები და წესი კონსულტაციისა დემოკრატიულ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. 2) შემუშავება რეკომენდაციებისა კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციის სტრუქტურისა და პრინციპების შესახებ (დროებითი დებულება). 3) წინასწარი შემუშავება კორეის მომავალი დროებითი დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკური პლატფორმისა და სხვა ღონისძიებებისა. 4) შემუშავება რეკომენდაციებისა კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

კომისიამ საჭიროდ სცნო შექმნას სათანადო ქვეკომისიები. გადაწყდა შეიქმნას სამი ქვეკომისია:

1) დემოკრატიულ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების პირობებისა და წესის შესასწავლად და მათი განხორციელების წესის შესამუშავებლად. ქვეკომისიის თავმჯდომარეებად დანიშნული არიან: საბჭოთა დელეგაციისაგან ს. კ. ცარაპკინი და ამერიკის დელეგაციისაგან ს. ვ. ტეიერი.

2) კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციის სტრუქტურისა და პრინციპების (დროებითი დებულება) შესახებ რეკომენდაციათა წინასწარ შესამუშავებლად. ქვეკომისიის თავმჯდომარეებად დანიშნული არიან: საბჭოთა დელეგაციისაგან გენერალ-მაიორი ნ. გ. ლებედევი და ამერიკის დელეგაციისაგან პოლკოვნიკი ფ. ხ. ბრიტონი.

3) კორეის მომავალი დროებითი დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკური პლატფორმისა და სხვა სათანადო ღონისძიებათა წინასწარ შესამუშავებლად. ქვეკომისიის თავმჯდომარეებად დანიშნული არიან საბჭოთა დელეგაციისაგან გ. მ. ბალასანოვი და ამერიკის დელეგაციისაგან ა. ს. ბანსი.

ქვეკომისიების თავმჯდომარეები ქვეკომისიათა მუშაობაში დასახმარებლად დანიშნავენ მრჩევლებსა და ექსპერტებს.

ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის ელჩი ბ-ნი სმიტი

4 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი უ. სმიტი.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი.

სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს გარდაქმნა მინისტრთა საბჭოდ

ერევანი, 2 აპრილი. (საკდესი). სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა ბრძანებულება სომხეთის სსრ სახკომსაბჭოს სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოდ და რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების სომხეთის სსრ სამინისტროებად გარდაქმნის შესახებ.

ქალაქ მოსკოვის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა მარტის გეგმა და 1946 წლის პირველი კვარტალის გეგმა

მოსკოვის საწარმოთა მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა სერიოზულ საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მარტისა და 1946 წლის პირველი კვარტალის გეგმა ქალაქ მოსკოვის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა.

მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ ვადამდე შეასრულონ მეორე კვარტალის გეგმა. (საკდესი).

სსრ კავშირის სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობამ შეასრულა მარტის გეგმა

სსრ კავშირის სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა მარტის გეგმა შეასრულეს: ნავთის მოპოვების დარგში—100,1 პროცენტით და ბურღვის დარგში—112 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულებულია ბენზინის გადამუშავების გეგმა.

მარტში კარგად მუშაობდნენ გაერთიანებანი „გროზნეფტი", „გროზნეფტეზავოდები" და „აზნევტეზავოდები", ტრესტი „დაგნეფტი" და ქარხნები, რომელთა დირექტორები არიან ამხანაგები ლისიჩკინი, ფირიაშვილი და დირექტორის მოვალეობის აღმსრულებელი ჩერნიშევი. (საკდესი).

9.000 გადმოსახლებული პოლონეთიდან

მინსკი, 2 აპრილი. (საკდესი). რესპუბლიკაში უკვე ცხრა ათასზე მეტი ბელორუსი ითვლება, რომლებიც პოლონეთიდან გადმოსახლდნენ ბელორუსიის სსრ და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის ხელშეკრულების მიხედვით. ისინი ყველანი კარგ სახლებში მოათავსეს. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მათ 8 მილიონი მანეთი სესხი მისცა მეურნეობის გასამართავად. საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილია ხე-ტყე, მინა, აგური და სხვა მასალები. იმ რაიონებში, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდნენ გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან, გადმოსახლებულთათვისააშენეს ახალი კეთილმოწყობილი სახლები და ეზოს ნაგებობანი.

საკოლმეურნეო რადიოკვანძები

ლენინგრადი, 3 აპრილი. (საკდესი). კავშირგაბმულობის ცენტრალური სამეცნიერო - საკვლევი ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებამ შეიმუშავა და თავის ლაბორატორიებში დაამზადა საკოლმეურნეო რადიოკვანძი. იგი შესდგება ლილიანი მიმღებისა და დამზოგი გამაძლიერებლისაგან, რომელიც იძლევა 50-100 ხმამაღლა მოლაპარაკის კვების შესაძლებლობას. რადიოკვანძი ლილის საშუალებით ჩაირთვება რამდენიმე ფიქსირებულ რადიოსადგურთაგან ერთ-ერთი სადგურის მისაღებად. კვება უზრუნველყოფილია ბატარეებით.

რადიოკვანძი კონსტრუქციის მიხედვით მარტივია, კომპაქტური და იაფია. სიდიდით ჩვეულებრივ რადიომიმღებზე დიდი არ არის.

ლენინგრადის ერთ-ერთ ქარხანაში ეწყობა ასეთი რადიოკვანძების პირველი ნიმუშების გამოშვება.

ინსტიტუტს განზრახვა აქვს შეიმუშაოს ასეთივე რადიოკვანძი ცვალებადი დენის ქსელიდან კვებით ელექტროფიცირებული კოლმეურნეობებისათვის.

„მეტი სტახანოვური ჰექტარები!"

გამოხმაურება გაზეთ „კომუნისტის" 28 მარტის მეთაურ წერილზე (თათბირი ხაშურის რაიონში)

როგორც მკითხველებმა იციან, ჩვენმა გაზეთმა 28 მარტის ნომერში დაბეჭდა მეთაური წერილი „მეტი სტახანოვური ჰექტარები!" ამ წერილში აღძრულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომმა 3 აპრილს მოიწვია კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მდივნების, ბრიგადირების, მერგოლეების, მეჭარხლე სტახანოველების, აგრონომების რაიონული თათბირი.

სტახანოვური ჰექტარების ზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის ამაღლებისათვის. ამაში პრაქტიკულად დარწმუნდნენ ხაშურელი კოლმეურნეები. შარშან მათ სახელმწიფოს 1944 წელთან შედარებით ოთხჯერ მეტი შაქრის ჭარხალი ჩააბარეს, პროდუქციის საფასურის ანგარიშში შრომადღეებზე გაანაწილეს 8.000 ფუთამდე შაქარი და შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით — 500.000 მანეთზე მეტი. კოლმეურნეთა ამ წარმატებაში დიდი როლი შეასრულეს სტახანოვურმა ჰექტარებმა.

ყოველწლიურად იზრდება შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის ოსტატთა რიცხვი რაიონში. 1944 წელს ინდივიდუალურად ნაკვეთები მიჩენილი ჰქონდა 170 კოლმეურნეს, შარშან კი თითქმის ოთხჯერ მეტს. კოლმეურნეობებში საჭარხლე მიწების 90 პროცენტზე მეტი ურწყავია. მიუხედავად ამისა, შარშან ბევრგან მოსავლიანობამ ჰექტარზე 500 ცენტნერს მიაღწია. რაიონის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აყვანილ იქნა 141,5 ცენტნერამდე. სტახანოვური ჰექტარები რომ არ ჰქონოდათ, საშუალო მოსავალი ჰექტარზე 100 ცენტნერიც არ იქნებოდა.

სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. გიქაშვილი) ურწყავ 65 ჰექტარ მიწაზე საშუალოდ 119 ცენტნერი ჭარხალი მიიღო. ამავე კოლმეურნეობაში ვარა ნოზაძემ სტახანოვურ ჰექტარზე 407 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა, ხოლო სონა მეტრეველმა— 350 ცენტნერი. სოფელ ალის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. გვარამაძე) საშუალოდ ჰექტარზე 198 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა. ამავე კოლმეურნეობაში სტახანოველებმა ნიკოლოზ ნოზაძემ და ანა ტაბაშიძემ, რომლებსაც ინდივიდუალური ნაკვეთები ჰქონდათ, 400-450 ცენტნერი ჭარხალი მიიღეს. ასეთივე წარმატებებს მიაღწიეს სტახანოველებმა ზემო ოსიაურის, ქინძათის და სხვა კოლმეურნეობებში.

სტახანოვური ჰექტარები ნათელჰყოფენ, მოსავლიანობის გადიდების თუ რა დიდი შესაძლებლობანი გვაქვს.

ის დიდი მნიშვნელობა, რასაც საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის ოსტატების, მოწინავე ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის მეთოდების ფართოდ გავრცელებას, კერძოდ სტახანოვური ჰექტარების ზრდას ანიჭებს, მკაფიოდ გამოჩნდა 3 აპრილს მოწვეულ თათბირზე.

მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის გამგემ ამხ. პ. კუბლაშვილმა და ტექნიკური კულტურების განყოფილების გამგემ ამხ. კ. ხერხეულიძემ თავიანთ მოხსენებებში აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლისათვის რაიონში არა თუ საჭარხლე, მარცვლეულისა და სხვა კულტურების ფართობებიც მზრალად არის მოხნული. შარშან მინერალური სასუქები თვითეულ ჰექტარზე შეტანილი იყო მხოლოდ 2-3 ცენტნერი, წელს კი 15 ცენტნერამდე შეაქვთ. ასევე ითქმის ნაკელისა და ნაცრის შესახებაც. განსაკუთრებით გაძლიერდა ნაკვეთების ინდივიდუალურად დამუშავების მსურველთა რიცხვი, რასაც ხელს უწყობს გაზეთ „კომუნისტის" 28 მარტის მეთაური წერილი.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ და თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს სტახანოველებმა გიორგი და ნიკო ნოზაძეებმა (სოფელი ალი), ნ. ქიტიაშვილმა (სოფელი ქინძათი), ი. ახალკაცმა და ი. ბუხრიკიძემ (ზემო ოსიაური), ნ. ნოზაძემ (დიდი ფლევი), ი. ბუხრიკიძემ და ს. მეტივიშვილმა (ქვემო ოსიაური), გ. ხარატიშვილმა (ტეზერი) და სხვებმა.

სტახანოველმა მეჭარხლე კოლმეურნეებმა გ. ნოზაძემ და ი. ახალკაცმა აღნიშნეს, რომ ისინი წარმატებით მოემზადნენ წელს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მისაღებად. მათ საჭარხლე მიწები წინასწარ შეისწავლეს, პირადად ხელმძღვანელობდნენ ნიადაგის აოშვას, მზრალად ხვნას, შემოდგომაზე მიწის დამუშავებისას თვითეულ ჰექტარზე შეიტანეს 3 ცენტნერი მინერალური სასუქი, 40 ტონამდე ნაკელი, დააგროვეს ბევრი ნაცარი, მომზადებული აქვთ 8-8 ცენტნერი მინერალური სასუქი. ისინი პირობას იძლევიან, რომ წელს ურწყავ თვითეულ ჰექტარზე მოსავლიანობას 600 ცენტნერამდე აიყვანენ.

სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ტუსიაშვილმა განაცხადა, რომ წელს ჭარხლისათვის სანიმუშოდ მომზადებული აქვთ 45 ჰექტარი მიწა. გაზეთ „კომუნისტის" 28 მარტის მეთაური წერილის საპასუხოდ ნაკვეთების 70 პროცენტი მიჩენილი ექნებათ ცალკეულ კოლმეურნეებს. კოლმეურნეთა სახელით ამხ. ტუსიაშვილმა იკისრა შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით 100 ცენტნერით გაადიდონ, ცალკეულ ნაკვეთებზე კი 400-600 ცენტნერამდე ჭარხალი მოიყვანონ.

სოფელ წრომის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. მ. ბერაძემ სთქვა, რომ კოლმეურნეობის წევრთა უმრავლესობას გაზეთ „კომუნისტის" 28 მარტის მეთაურ წერილთან დაკავშირებით აღებული აქვს ვალდებულება თვითეულ ჰექტარზე მოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით 50-100 ცენტნერით გაადიდოს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ფოფხაძემ დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა სტახანოვური ჰექტარების დიდ მნიშვნელობაზე როგორც შაქრის ჭარხლის, ისე მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის მოსავლიანობის ამაღლებისათვის. მან დამსწრეთა ყურადღება მიაქცია სამუშაოთა ვადებისა და ხარისხის დაცვას, ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესებას, მინერალური და ორგანული სასუქების სწორად გამოყენებას, ნათესების საუკეთესოდ მოვლას.

თათბირის მონაწილეებმა პირობა დასდეს წელს თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 200 ცენტნერზე მეტი ჭარხალი, გეგმაზე 80 ცენტნერით მეტი, რისთვისაც ჭარხლის მთელი ნათესის სულ მცირე ორი მესამედი სტახანოვურ ჰექტარებად გახადონ.

ხაშურელმა კოლმეურნეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქარელის რაიონი.

თათბირის შედეგები განხილული იქნება საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის ბიუროზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. მ. შვერნიკს რწმუნების სიგელები გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა უოლტერ ბ. სმიტმა

3 აპრილს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი უოლტერ ბ. სმიტი, რომელმაც გადასცა მას რწმუნების სიგელები.

ბ-ნ უ. ბ. სმიტს ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, საელჩოს მრჩეველი ბ-ნი დ. ფ. კენანი, სამხედრო ატაშე ბრიგადის გენერალი ფ. ნ. რობერტსი, საზღვაო ატაშე კონტრ-ადმირალი გ. ლ. მეიპლე, საჰაერო ატაშე ბრიგადის გენერალი ვ. ე. ტოდი, საელჩოს პირველი მდივნები ბ-ნები გ. გ. სმიტი, მ. ნ. კუტზი და საელჩოს მეორე მდივანი ბ-ნი რ. გ. დევისი, რომლებიც ნ. მ. შვერნიკს წარუდგინა ელჩმა.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი კ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატების განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ი. ბაზიკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე ნ. ნ. იაცკევიჩი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ნ. მ. შვერნიკს საუბარი ჰქონდა ბ-ნ უ. ბ. სმიტთან. საუბარში მონაწილეობა მიიღო ა. ი. ვიშინსკიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კონფერენცია და მიტინგი ლონდონში

ლონდონი, 31 მარტი. (საკდესი). ორი დღის განმავლობაში ლონდონში მიმდინარეობდა ინგლისისა და უელსის ნაციონალური კონფერენცია ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საკითხზე. დაესწრო 983 დელეგატი 450 ორგანიზაციისაგან, რომლებიც წარმოადგენენ 2,5 მილიონზე მეტ წევრს, მათ შორის დელეგატები ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის 69 კომიტეტისა და ორგანიზაციისაგან, 162 ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციისა და ნაციონალური კავშირების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან, 56 კოოპერატიული ორგანიზაციისაგან, 45 რელიგიური და კულტურული ორგანიზაციისაგან და სხვა.

კონფერენციის გახსნისას თათბირის პირველი სხდომის თავმჯდომარემ ჰენრი ტაუნსენდმა, რომელიც ინგლისისა და უელსის თავისუფალი ეკლესიის ფედერატიული საბჭოს წარმომადგენელია, განაცხადა, რომ შეკრებილთა მთავარი ამოცანაა დაუღალავად იმუშაონ საბჭოთა და ინგლისელ ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის. ჩვენ ვიცით, სთქვა მან, რომ ინგლისელი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა უაღრესად კეთილგანწყობილია საბჭოთა რუსეთის მამაცი ხალხისადმი. ომის დროს საბჭოთა და ინგლისელი ხალხების მიერ გაღებული მთელი მსხვერპლის მიზანი იყო ახალი, უფრო ბედნიერი მსოფლიოს შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნება ომის, შიმშილისა და სიღატაკის საშინელებისაგან.

ასეთი მსოფლიო შეიძლება შეიქმნას დიდ სახელმწიფოებს შორის უაღრესად მჭიდრო თანამშრომლობის პირობით.

ტაუნსენდმა აღნიშნა, რომ ასეთი თანამშრომლობის დამყარების ერთ-ერთ დაბრკოლებას წარმოადგენს ვატიკანის რეაქციული პოლიტიკა. მან სთქვა, რომ, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, იგი დარწმუნებულია, რომ ვატიკანის პოლიტიკური ხაზი ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს თანამედროვეობისათვის. ვატიკანი მხარს უჭერს გენერალ ანდერსის ანტისაბჭოთა ინტრიგებს იტალიაში. რეაქციული კათოლიკური პრესა აშკარად ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომზე. 1939 წელს ვატიკანმა აშკარად განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერდა მუსოლინის ფაშისტურ პოლიტიკას. რატომ ცდილობს ვატიკანი, სთქვა ორატორმა, მოახდინოს მთელ მსოფლიოში კათოლიკეთა მობილიზაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ? რატომ არ აიღებს იგი ხელს ყოვლად საზიზღარ მეთოდებზე, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის დისკრედიტაციისაკენ მსოფლიოს თვალში? ვატიკანი უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს დასავლეთ დემოკრატიებსა და საბჭოთა რუსეთს შორის თანხმობისა და ურთიერთგაგების გზაზე.

პროფესორმა ლევიმ აღნიშნა, რომ ინგლისელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა ხალხისადმი აღტაცების, პატივისცემისა და მეგობრობის იმ ღრმა გრძნობას, რომელიც ომის დროს წარმოიშვა.

კუნძულ უაიტის დელეგატმა ქ-ნმა ზერიჭ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამჟამად ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწევიან, ომის დროს სოროებში იმალებოდნენ, მაშინ როცა წითელი არმია ინგლისელი ხალხის სიცოცხლესა და სახლებს იცავდა. ახლა ისინი სოროებიდან ამოძვრნენ და გაჰყვირიან, სარგებლობენ რა იმით, რომ ხალხი ყველა საჭირო ფაქტს ვერ იცნობს.

კონფერენციამ დიდი ყურადღებით მოუსმინა პარლამენტის წევრ პლეტს-მილსს, რომელმაც გაუზიარა დამსწრეთ თავისი შთაბეჭდილებანი სსრ კავშირში მოგზაურობიდან.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე აივორ მონტეგიუმ, მუშებმა ბროუტონმა და ეტორნმა, ჰოლანდია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენელმა პროფესორმა ჰოგსკარპელმა, საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წარმომადგენელმა დოქტორმა ლამბრიდისმა და სხვებმა.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„ეს ნაციონალური კონფერენცია აცხადებს, რომ იგი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის სრული თანამშრომლობა საჭიროა, რათა გადაწყვეტილ იქნას ომის შედეგად წამოჭრილი გადაუდებელი პრობლემები და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადაიქცეს საერთაშორისო მშვიდობის ნამდვილ დამცველად. კონფერენცია შეშფოთებას გამოსთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ღრმავდება უთანხმოება ორ მთავრობას შორის, ჰგმობს ინტრიგების და მოვლენათა არასწორად გაშუქების კამპანიას, რაც ამჟამად ინგლისში ტარდება და რაც ნავარაუდევია ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის კიდევ უფრო გასაუარესებლად და ამრიგად საფრთხეს უქმნის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა იმედებს. კონფერენცია მოუწოდებს ყველა ცალკეულ პირსა და ორგანიზაციას გულწრფელად შეუწყონ ხელი ყველა იმ ღონისძიებას, რაც გამოიწვევს აქ თანამშრომლობის აღდგენას, რომელიც ესოდენ წარმატებითი იყო ომის დროს, და დაუღალავად იმუშაონ ინგლისელი და საბჭოთა ხალხების მტკიცე მეგობრობისა და ნამდვილი ურთიერთგაგებისათვის“.

ასევე ერთსულოვნად მიღებულ იქნა მეორე რეზოლუცია, რომელიც იწონებს ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების შექმნას და ამტკიცებს მის წესდებას.

31 მარტს თეატრ „სკალაში“ გაიმართა დიდი საჯარო მიტინგი ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების შექმნის აღსანიშნავად. მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს პარლამენტის წევრმა ზილიაკუსმა, ქ-ნმა კლარა ბემბერმა, პროფკავშირთა ლონდონის საბჭოს მდივანმა ჯეკობსმა, დოქტორმა ლამბრიდისმა და სხვებმა.

გამოცხადდა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ნაციონალური საბჭოს შემადგენლობა. საბჭოს 30 წევრს შორის არჩეული არიან შემდეგი პირები: კომანდორი იანგი, რ. ბიშოპი, ლორდი ფარინგდონი, პროფესორი ლევი, პარლამენტის სამი წევრი — პლეტს-მილსი, პრიტი და სილვერმენი, ჰერბერტ მარშალი, ჯეკობსი, ჯორდანი და სხვები. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ს. ევანსი.

ბულგარეთის ახალი მთავრობის დეკლარაცია

სოფია, 3 აპრილი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს შესდგა ბულგარეთის პარლამენტის — სახალხო კრების სხდომა, რომელზეც პრემიერ-მინისტრმა კიმონ გეორგიევმა გამოაქვეყნა მისი მეთაურობით შედგენილი მთავრობის დეკლარაცია.

ბულგარეთში სსრ კავშირის დესპანის ამხ. კირსანოვის განცხადება კიმონ გეორგიევისადმი

სოფია, 2 აპრილი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ 29 მარტს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ბულგარეთში ს. პ. კირსანოვი ეწვია პრემიერ-მინისტრ კიმონ გეორგიევს და გაუკეთა მას შემდეგი სიტყვიერი განცხადება: საბჭოთა კავშირი სთვლის, რომ პირობები, რომლებიც ოპოზიციამ წამოაყენა მთავრობაში მონაწილეობის მისაღებად, ეწინააღმდეგებიან სამი საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებას და ამიტომ ეს პირობები მიუღებელია. საბჭოთა მთავრობას სწორად მიაჩნია პირობები, რომლებიც წამოაყენა კიმონ გეორგიევმა ოპოზიციასთან მოლაპარაკების დროს.

როგორც ცნობილია, კიმონ გეორგიევის მიერ ბულგარეთის ოპოზიციური ჯგუფებისათვის წაყენებული პირობები სავსებით შეესაბამებიან სამი საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებს.

ბულგარეთის სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტის დეკლარაცია

სოფია, 2 აპრილი. (საკდესი). პრესაში გამოქვეყნებულია სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტის დეკლარაცია ბულგარეთის ახალი მთავრობის შესახებ. დეკლარაციაში ნათქვამია:

„სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტი, რომელიც სავსებით ინფორმირებული იყო პრემიერის მთელ მოლაპარაკებაზე სამამულო ფრონტის პარტიების წარმომადგენლებთან და ორი ოპოზიციური ჯგუფის წარმომადგენლებთან, სავსებით იწონებს სამამულო ფრონტის ახალი მთავრობის შექმნას და მოუწოდებს ბულგარეთის ყველა პატრიოტს უაღრესად ფართო და აქტიური დახმარება გაუწიონ ამ მთავრობას სამამულო ფრონტის პროგრამის განხორციელებასა და სამამულო ფრონტის სახალხო დემოკრატიული საშინაო და საგარეო, ეკონომიური და კულტურული პოლიტიკის მტკიცედ და თანმიმდევრულად გატარებაში.

სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტი უდიდესი აღშფოთებით აღნიშნავს ფაქტს, რომ ამჯერადაც ოპოზიციის ლიდერებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ პირადი და ჯგუფური ინტერესებით და მოსაზრებებით, რასაც ჩვენი ხალხის ინტერესებთან საერთო არა აქვს რა და მავნეა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ჩაშალეს მოსკოვის გადაწყვეტილების განხორციელება.

ამრიგად, ოპოზიციის ბელადები ცდილობენ გაძნელონ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის რაც შეიძლება მალი მოგვარება და საზავო ხელშეკრულების დადება, რომელიც აუცილებელია ხალხისათვის.

სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტი ჰგმობს ოპოზიციური ჯგუფების ამ მოქმედებას და მოუწოდებს ბულგარელ ხალხს გადაჭრით უკუაგდოს ოპოზიციის ინტრიგები და ცდები, რომლებიც მიმართულია ამჟამად ესოდენ საჭირო სახალხო ერთობის დარღვევისაკენ“.

დეკლარაციას ხელი მოაწერა სამამულო ფრონტის ეროვნული კომიტეტის ყველა წევრმა.

ბულგარეთის პრესა ახალი მთავრობის შესახებ

სოფია, 3 აპრილი. (საკდესი). ბულგარეთის მთელი პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარს ახალი მთავრობის შედგენას.

გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ სწერს: „სამამულო ფრონტის მთავრობა შედგენილია პატიოსანი, ნაცადი პოლიტიკური ადამიანებისაგან, რომელთა საქმენი უზრუნველჰყოფენ სამამულო ფრონტის ხალხური პროგრამის შემდგომ სრულ განხორციელებას. ისინი მტკიცედ იღებენ ხელში ქვეყნის მართვა-გამგეობას, რათა განამტკიცონ სისხლისღვრით მოპოვებული ხალხური დემოკრატია, რათა განაგრძონ გადამწყვეტი ბრძოლა ფაშიზმისა და რეაქციის ნაშთების წინააღმდეგ. ახალი მთავრობა უზრუნველჰყოფს კიდევ უფრო გულწრფელ მეგობრობას ჩვენს განმათავისუფლებელ დიდ საბჭოთა კავშირთან. იგი მჭიდრო კავშირს განაგრძობს აგრეთვე მოძმე იუგოსლავიასთან და ყოველივე შესაძლებელს გააკეთებს, რათა კიდევ უფრო მეგობრული და ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან, აგრეთვე მეზობელ და შორეულ დემოკრატიულ ქვეყნებთან“.

გაზეთმა „ზემედელსკი ზნამემ“ დაბეჭდა ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის დოქტორ მიხეილ გენოვსკის სტატია, რომელშიც ნათქვამია: „ახალი მთავრობის შედგენას ხალხის მასები შეხვდნენ არა მარტო შვების გრძნობით, არამედ ნამდვილი სიხარულით. მხოლოდ რეაქცია ბუზღუნებს, მაგრამ ეს საუკეთესო ნიშანია იმისა, რომ ახალი მთავრობის შედგენის ამოცანა სწორად გადაწყდა. ეს მთავრობა წარედგინება სახალხო კრებას. ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მას სრული მოწონებით შეხვდება პარლამენტი“.

„ბულგარელი ხალხი სიხარულით შეხვდა სამამულო ფრონტის ახალ მთავრობას, — სწერს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“. — მთავრობას კვლავ სათავეში უდგას ცნობილი და ჰკვიანი სახელმწიფო მოღვაწე და სამამულო ფრონტის მტკიცე მომხრე კიმონ გეორგიევი“.

„ახალ მთავრობას, — სწერს გაზეთი, — სრული უფლებით შეუძლია წარმოადგინოს და დაიცვას ბულგარეთის ინტერესები დიდი მოკავშირეების წინაშე და ყველა სხვა სახელმწიფოს წინაშე. სამამულო ფრონტის ბულგარეთს უკვე ვერ უსაყვედურებენ, რომ მან არ გააკეთა ყოველივე საჭირო, რათა განხორციელებულიყო სამი დიდი სახელმწიფოს მოსკოვის გადაწყვეტილება. თუ ეს გადაწყვეტილება ახლაც ვერ განხორციელდა, ამდენი კეთილსინდისიერი ცდის შემდეგ, ამაში ბრალი მიუძღვით მხოლოდ ოპოზიციის ლიდერებს“.

მდგომარეობა იავაზე

ლონდონი, 3 აპრილი. (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ გუშინ ინგლისის „მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავები კუნძულ იავაზე ინდონეზიელთა წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. (საკდესი). დღეს (19 საათზე მოსკოვის დროით) შესდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ გო ტაი-ციმ სხდომა გახსნა და წაიკითხა გენერალური მდივნის ტრიუგვე ლის წერილი, რომელშიც ტრიუგვე ლის მოჰყავს ტექსტი წერილისა, რითაც მან 29 მარტს მიმართა ა. ა. გრომიკოს და ირანის ელჩ ჰოსეინ ალას. წერილში მოთხოვნილი იყო განმარტებანი ირანის საკითხის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ გამოქვეყნდა ამხ. გრომიკოს საპასუხო წერილი ტრიუგვე ლისადმი. ამხ. გრომიკოს წერილში ნათქვამია:

„პასუხად თქვენი 29 მარტის წერილისა, რომლითაც, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის დავალებით თხოულობთ გაცნობოთ, თუ რა მდგომარეობაშია მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და ირანის მთავრობებს შორის და, კერძოდ, დათქმულია თუ არა ირანიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა შეთანხმების დადებით ორივე მთავრობას შორის სხვა საკითხებზე, პატივი მაქვს ჩემი მთავრობის სახელით გაცნობოთ შემდეგი:

მოლაპარაკებამ უკვე გამოიწვია შეთანხმება ირანიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის თაობაზე, რომელი გამოყვანაც განახლდა ამა წლის 24 მარტს და დამთავრდება თვენახევრის განმავლობაში, რაც ოფიციალურად ვაცნობე უშიშროების საბჭოს ამა წლის 25 მარტის სხდომაზე. ამრიგად, 18 მარტს ირანის მთავრობის მიერ უშიშროების საბჭოში დასმული საკითხი საბჭოთა ჯარების ევაკუაციის შესახებ გადაჭრილია საბჭოთა კავშირისა და ირანის მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმებით.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, ისინი დაკავშირებული არ არიან საბჭოთა ჯარების გამოყვანის საკითხთან. როგორც ცნობილია, საკითხი ნავთის კონცესიის ან შერეული სააქციო საზოგადოების შესახებ წარმოიშვა ჯერ კიდევ 1944 წელს, დამოუკიდებლად საბჭოთა ჯარების ევაკუაციის საკითხისა.

პატივისცემით ელჩი ანდრია გრომიკო. 1946 წლის 3 აპრილი“.

შემდეგ გო ტაი-ციმ წაიკითხა ირანის ელჩის პასუხი, რომელიც დათარიღებულია 2 აპრილით.

უშიშროების საბჭომ გადასწყვიტა სხდომა გადასდოს 4 აპრილამდე, რათა საბჭოს წევრებს შესაძლებლობა ექნეთ შეისწავლონ მიღებული წერილების შინაარსი.

გერმანიის კომუნისტური პარტიის მომავალი ყრილობა

ბერლინი, 3 აპრილი. (საკდესი). გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „დოიჩე ფოლკსცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება გერმანიის კომუნისტური პარტიის XV ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობა შესდგება 1946 წლის 19 და 20 აპრილს ბერლინში. დღის წესრიგშია გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, სამანდატო კომისიის მოხსენება, მოხსენება მშრომელი გერმანელი ხალხის ერთიანობის შესახებ და პარტიის ხელმძღვანელობის არჩევნები.

საბერძნეთის მონარქისტებმა და მათთან ახლო მდგომმა მოღვაწეებმა შეადგინეს „კოალიციური“ მთავრობა

ლონდონი, 4 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საბერძნეთის „სახალხო“ (მონარქისტული) პარტია და ცენტრის ბლოკის („ნაციონალური კავშირი“) ხელმძღვანელები 4 აპრილს შეთანხმდნენ შეადგინონ მთავრობა უმაღლესი სასამართლოს წევრის პულიცასის მეთაურობით. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა მონარქისტების ლიდერმა კონსტანტინე ცალდარისმა. ცენტრის ბლოკის სამი ლიდერი — ყოფილი პრემიერები — პაპანდრეუ, კანელოპულოსი და ვენიზელოსი მთავრობის შემადგენლობაში შედიან უპორტფელო მინისტრებად. კოორდინაციის მინისტრად დაინიშნა სტეფანოპულოსი (მონარქისტი), გზათა მინისტრად — გენერალი გონატასი, ნაციონალ-ლიბერალური პარტიის წევრი (მონარქისტი), ნაციონალური ეკონომიკის მინისტრად — ალექსანდრისი.

არჩევნების შემდეგ საბერძნეთში

ათენი, 2 აპრილი. (საკდესი). არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მაგრამ, იმ ციფრების მიხედვით, რომლებიც უკვე გამოქვეყნებულია, არჩევნებისათვის ბოიკოტის გამომცხადებელთა რაოდენობა მთელ საბერძნეთში 50 პროცენტს აღწევს. მთელი დემოკრატიული პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მასობრივი ფალსიფიკაციისა და სიებიდან დემოკრატი მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილის გამორიცხვის პირობებში, იმ პირთა ასეთი დიდი პროცენტი, რომლებსაც კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ, იმას ნიშნავს, რომ ხალხის დიდი უმრავლესობა ჰგმობს ახლანდელ ყალბ არჩევნებს. მემარცხენე გაზეთები მოითხოვენ ხმის მიცემის შედეგების გაუქმებას და ნამდვილი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. ქვეყნდება იმ პირების ვრცელი სიები, რომლებმაც ხმა მისცეს ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერაც კი, აგრეთვე იმ მოქალაქეთა სიები, რომლებიც ძალად მიჰყავდნენ საარჩევნო უბნებში. მოჰყავთ შემთხვევები გარდაცვლილთა მაგიერ ხმის მიცემისა, საარჩევნო წიგნაკების უქონლად ხმის მიცემისა, აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ის მოქალაქენი, რომელთაც ხმა არ მიუციათ, სათვალავში შეტანილი არიან, როგორც ხმის მიმცემნი. მოჰყავთ აგრეთვე მაგალითები, როდესაც ეროვნული გვარდიელები ავტომანქანებით დაიარებოდნენ რამდენიმე უბანში და ხმას აძლევდნენ ყოველ მათგანში.

გაზეთი „რიზოსპასტისი“ აქვეყნებს ლიბერალური პარტიის კანდიდატ ვუდურისის დეპეშას, რომელიც მან არჩევნების დღეს პრემიერს გაუგზავნა: „ურჩ დემოკრატ მოქალაქეებს, — ნათქვამია დეპეშაში, — სცემენ და მიჰყავთ. წაყვანილთა ბედი გამოურკვეველია“. განსაკუთრებით ენერგიული პროტესტი გამოიწვია ათენის პრეფექტ კარაგელოპულოსის ბრძანებამ 3 საათით ხმის მიცემის განგრძობის შესახებ, დამოუკიდებლად იმისა, არჩევნების ვადის გათავებისას უბანში იქნებიან კიდევ ამომრჩევლები თუ არა. ეს ბრძანება აშკარად ეწინააღმდეგება კანონს. რაც შეეხება „ღამით ხმის მიცემის“ შედეგებს, ისინი უაღრესად საეჭვოა. მაგალითად, ქალაქ კალიფეის გარეუბნის საარჩევნო უბანში მთელი დღის განმავლობაში 730 რეგისტრირებული პირიდან ხმა მისცა მხოლოდ 30 კაცმა, ხოლო 3 დამატებითი საათის განმავლობაში თითქოს ხმა მისცა 700 ამომრჩეველმა.

ზახარიადისის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე

ბელგრადი, 2 აპრილი. (საკდესი). იუგოსლავიის დეპეშათა სააგენტოს შენობაში შესდგა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ჩეხოსლოვაკიიდან საბერძნეთს მიმავალმა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ზახარიადისმა, რომელიც გზად ბელგრადში გაჩერდა, უპასუხა იუგოსლავიისა და უცხოეთის ჟურნალისტების კითხვებზე.

იუგოსლავიის ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვაზე, რა შეგიძლიათ სთქვათ საბერძნეთში ჩატარებული არჩევნების შესახებო, ზახარიადისმა განაცხადა: ამ კითხვაზე პასუხი, არსებითად, გასცა თვითონ საბერძნეთის მთავრობის პრემიერმა სოფულისმა თავისი განცხადებით, რომ არჩევნები, რომლებიც საბერძნეთში ჩატარდება, არაპატიოსანი და არასწორია, მაგრამ გარედან ზეგავლენის შედეგად ისინი უნდა ჩატარდესო. სოფულისს არაერთხელ უთქვამს, რომ არჩევნები უნდა გადადებულიყო, მაგრამ საბერძნეთის მდგომარეობით დაინტერესებული უცხოეთის მთავრობები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ არჩევნები ჩატარებულიყო 31 მარტს. სოფულისმა განაცხადა აგრეთვე, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს, რადგან მან სიტყვა მისცა ინგლისის მთავრობას. 31 მარტს სოფულისმა შეასრულა თავისი დაპირება.

დაახასიათა რა პირობები, რომლებშიც სწარმოებდა არჩევნები, ზახარიადისმა აღნიშნა, რომ საბერძნეთის მთავრობის 12 მინისტრი არჩევნების წინ გადადგა. ზახარიადისმა მოიყვანა საარჩევნო სიების ფალსიფიკაციის მთელი რიგი მაგალითები, აღნიშნა, რომ მონარქისტული ორგანიზაციის „ხ“ (ხიტოსების) თვითეულ წევრს არსებითად მინიჭებული ჰქონდა 10 ხმა. ამ პირობებში, ხაზგასმით აღნიშნა ზახარიადისმა, არჩევნები წარმოადგენენ მთავარ ფაქტორს, რომელიც არანორმალურ მდგომარეობას ჰქმნის. ჩვენ არ შეგვეძლო მონაწილეობა მიგვეღო ასეთ არჩევნებში, რადგან ეს სარგებლობას არ მოუტანდა საბერძნეთში პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციას. სრულიად უეჭველია, რომ ასეთი არჩევნები გააუარესებენ საბერძნეთის მდგომარეობას.

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, შეესაბამება თუ არა ბრიტანეთის მთავრობის მიერ საბერძნეთში განხორციელებული პოლიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს. ინგლისის ახლანდელი პოლიტიკის განხორციელება საბერძნეთში, უპასუხა ზახარიადისმა, დაიწყო 1944 წლის დეკემბერში ინგლისის ჯარების აშკარა გამოსვლით საბერძნეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. საბერძნეთი მოკავშირე ქვეყანა იყო და, ბუნებრივია, რომ ინგლისის პოზიცია ეწინააღმდეგება ატლანტის ქარტიას, ყირიმის კონფერენციასა და გაერთიანებული ერების სხვა კონფერენციების გადაწყვეტილებებს. საბერძნეთში 1944 წლის დეკემბრიდან ფაქტიურად არსებობს ახალი, მეორე ოკუპაცია. ამ მომენტიდან საბერძნეთში არ არის არც წესრიგი და არც მშვიდობა. ამ მომენტიდან საბერძნეთში ბატონ-პატრონები არიან მონარქისტები — ფაშისტები. მათ შესძლეს თავიანთი რეჟიმის დამყარება მხოლოდ იმის შედეგად, რომ ასეთი შესაძლებლობა მათ მისცეს ინგლისის ჯარებმა, რომლებიც ტანკების, ფლოტის, არტილერიისა და ავიაციის დახმარებით იბრძოდნენ ელასის და ბერძენი ხალხის წინააღმდეგ. მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს იყო ომი, რომელსაც ინგლისის ჯარები აწარმოებდნენ ბერძენი ხალხის წინააღმდეგ. ამ მომენტიდან მთელი 15 თვის განმავლობაში ქაოსი მეფობს საბერძნეთში. ინგლისელებს არაფერი არ გაუკეთებიათ იმისათვის, რომ საბერძნეთში დამყარებულიყო ნამდვილი წესრიგი... არც ერთი დამნაშავე, არც ერთი ბანდიტი არ დაუსჯიათ, თუმცა კანონები კი ითვალისწინებენ, რომ ისინი დასჯილ უნდა იქნან. ავაზაკები და დამნაშავეები ამ 15 თვის განმავლობაში არც დაუპატიმრებიათ და არც გაუსამართლებიათ. თუ თქვენ ჰკითხავთ ხალხს, რატომ ხდება ეს, გიპასუხებენ, რომ ინგლისელებს არ სურთ, რომ მშვიდობა იყოს საბერძნეთში, რათა ამით საბაბი ჰქონდეთ კვლავ დარჩნენ საბერძნეთში. საბერძნეთის მთავრობის პრემიერმა სოფულისმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ ინგლისის ჯარები საბერძნეთში დარჩებიან არჩევნების შემდეგაც.

საბერძნეთიდან ინგლისის ჯარების გაყვანა — ეს არის მთელი ბერძენი ხალხის მოთხოვნა. ბერძენი ხალხი ფიქრობს, რომ ამაზეა დამოკიდებული მისი ქვეყნის სუვერენიტეტი. თუ ინგლისელები წავლენ, ბერძენი ხალხი შესძლებს თვითონ განახორციელოს მისწრაფება დემოკრატიისადმი, წინააღმდეგ ტერორისტების უმცირესობისა საბერძნეთში.

უპასუხა რა კითხვას საბერძნეთში ჩატარებული არჩევნების შედეგების შესახებ, ზახარიადისმა განაცხადა: „არჩევნები რომ თავისუფლად და პატიოსნად ჩატარებულიყო, მათში რომ მონაწილეობა მიეღო ეამ-ს, მაშინ ამომრჩეველთა 65 პროცენტი, — მე არ მინდა ვთქვა 90 პროცენტი, — ხმას მისცემდა ეამ-ს“.

შემდეგ ზახარიადისმა აღნიშნა, რომ მთელი იარაღი, რომელიც ელასმა, ვარკიზის დადებული შეთანხმებით, მთავრობას გადასცა, გადავიდა ხიტოსების ხელში, რომლებიც, გარდა ამისა, ამჟამად შეიარაღებული არიან უახლესი ინგლისური იარაღით.

ანტიფაშისტთა დევნა ტრიესტში

ბელგრადი, 3 აპრილი. (საკდესი). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს ტანიუგის კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ 400 ანტიფაშისტმა, რომლებიც ტრიესტის საპატიმროში იმყოფებიან, 1 აპრილიდან შიმშილობა გამოაცხადა. დაპატიმრებულ ანტიფაშისტებთან სოლიდარობის ნიშნად ტრიესტის მუშებმა 1 აპრილს საყოველთაო გაფიცვა მოაწყეს.

სამოქალაქო პოლიცია განაგრძობს ძალადობის გამოყენებას დაპატიმრებული ანტიფაშისტების მიმართ. უხეში მოპყრობის მაგალითს წარმოადგენს ტრიესტის იმ სახალხო სასამართლოს მდივნის შემთხვევა, რომელიც საოკუპაციო სამხედრო სამართველომ გააუქმა. 26 მარტს პოლიციელებმა სრულიად უსაბაბოდ დააპატიმრეს სახალხო სასამართლოს მდივანი და სცემეს. იგი მოათავსეს სპეციალურ საკანში, სადაც 5 პოლიციელი რეზინის ჯოხსა სცემდა მას, შემდეგ კი საპყრობილეში გაგზავნეს.

1 აპრილს უნიტას მოედანზე შესდგა ტრიესტის მცხოვრებთა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა საოკუპაციო სამხედრო სამართველოს მოსთხოვეს დაპატიმრებულ ანტიფაშისტთა განთავისუფლება. სამოქალაქო პოლიცია ცდილობდა ჩაეშალა მიტინგი და სახანძრო ტუმბოები იხმარა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის“ I ხარისხის ორდენით

1. **გვაზავა** ლიდა ერმილეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **დანელია** მაშო ტიმოთეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **კენკიშვილი** ოლღა გიორგის-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ხევსურთსოფლის კოლმეურნეობის წევრი;
4. **საგინაძე** დარია ტიმოთეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის“ II ხარისხის ორდენით

1. **ბართაია** ოლღა ტარასის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **გაბისონია** ქრისტინე სტეფანეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ კურზუს კოლმეურნეობის წევრი;
3. **გულუა** მინა სვიმონის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
4. **დანელია** ბარბარე გახუს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **დანელია** ესა ბახვას-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **მამარდაშვილი** ეფროსინე ბახვას-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ გეგეჭკორის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი,
7. **ოთარაშვილი** მარიამ ალექსის-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ოდიშარია** ოლღა ფარნაოზის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ გეგეჭკორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ქუთათელაძე** ეფროსინე ივანეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ქიქავა** მინა დიმიტრის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის“ III ხარისხის ორდენით

1. **ადამია** მინა ივანეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ბებიავა** მარიამ როსტომის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
3. **გეგეჭკორი** ნადეჟდა ნიკოლოზის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **თოფურია** მელანია გიორგის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **თოფურია** ნინო ოქროპირის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **მიქავა** მატრონა გერასიმეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
7. **მიქავა** ვერა გუჯუს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
8. **მერებაშვილი** მარიამ გიორგის-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ორხევის კოლმეურნეობის წევრი;
9. **მიქავა** დუშა სოლომონის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ნაჭყებია** მინადორა ტაგუს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ კურზუს კოლმეურნეობის წევრი;
11. **ფაილოძე** ლიდა ფარნაოზის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ქაჩლიშვილი** პელაგია მათეს-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ტუშურების კოლმეურნეობის წევრი;
13. **ცანავა** ბაჩუა ევგენის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ხიბლაშვილი** თამარ აბრამის-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ჭურჭელაურების კოლმეურნეობის წევრი;
15. **ჯიქია** პელაგია მელიტონის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
16. **ჯანგირაშვილი** თამარ თედორეს-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ იარაჯულების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის“ I ხარისხის მედლით

1. **გახოკიძე** ვერა ბათლომეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის კოლმეურნეობის წევრი;
2. **გელენიძე** ეფროსინე კონსტანტინეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის კოლმეურნეობის წევრი;
3. **თოფურია** მაკუ ივანეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ნაჭყებია** ქსენია ალექსის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ კურზუს კოლმეურნეობის წევრი;
5. **ფაშურიშვილი** შუღაკა მარტიას-ასული — დიასახლისი, სოფელი თიანეთი, თიანეთის რაიონი;
6. **ფაილოძე** აგრაფენა ევტიხის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ფაილოძე** ეპრაქსია თედოს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ყაჟიაშვილი** თეკლე ვლადიმერის-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ცალუღელაშვილი** მარიამ გიორგის-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების ვაჟა ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ციცხვაია** ვერა კონსტანტინეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ხაჩიშვილი** ნინო ხვთისოს-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების ვაჟა ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის წევრი,
12. **ხისფეხიშვილი** ელენე ვასილის-ასული — დიასახლისი, სოფელი თიანეთი, თიანეთის რაიონი;
13. **ხურცილავა** ნინო მოსეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ჯაბანიშვილი** მართა თედორეს-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ დულუზაურების შეროზიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
15. **წოწორია** ელენე ლუკას-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
16. **წოწორია** ფედოსი ილარიონის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის“ II ხარისხის მედლით

1. **გონჯილაშვილი** პელაგია ხვთისოს-ასული — დიასახლისი, სოფელი თიანეთი, თიანეთის რაიონი;
2. **იარაჯული** ოლღა სოლომონის-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრი;
3. **მიქავა** ქიონია ესტატეს-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
4. **მიქავა** ელენე დავითის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
5. **მამულაშვილი** თებრონე პეტრეს-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ტუშურების კოლმეურნეობის წევრი;
6. **პირტახია** ლიდა გიორგის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ქავთარაძე** თამარ გიორგის-ასული — დიასახლისი, სოფელი თიანეთი, თიანეთის რაიონი;
8. **ყურშავიშვილი** სალომე გიორგის-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ თიანეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ხურცილავა** ლოლო ლევანის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ხურცილავა** ვალენტინა გიორგის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ხუცურაული** ელენე ბაგრატის-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ ტუშურების კოლმეურნეობის წევრი;
12. **ჯახუა** მაკრინე დიმიტრის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ჯღარკავა** ანეტა დავითის-ასული — გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ჯაბანიშვილი** ანა იორდანეს-ასული — თიანეთის რაიონის სოფელ დულუზაურების შეროზიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1946 წ. 11 თებერვალი. ქ. თბილისი.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

პროფორგანიზაციები უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც აერთიანებენ საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკებს, ფართოდ გაშალონ მუშების, ტრაქტორისტების, კომბაინერების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების სოციალისტური შეჯიბრება 1946 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მისაღებად. ამასთან საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტრაქტორისტთა მოძრაობას ერთი ტრაქტორით 500-600 და მეტი ჰექტარი ნახნავის გამომუშავებისათვის, დახმარება გაუწიონ ბრიგადებს, რგოლებსა და ცალკე მუშებს მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სისტემატური კონტროლი უნდა დააწესონ შეჯიბრების შედეგების ყოველდღიური აღრიცხვისა და გამოქვეყნებისადმი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა განსაზღვრული პერიოდის დამთავრების შემდეგ — შედეგები განიხილონ მუშათა კომიტეტების სხდომებზე საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების დირექტორებთან ერთად. მოწინავე ბრიგადებს, რგოლებსა და მუშებს უნდა მიაკუთვნონ წითელი დროშები, საპატიო სიგელები, საუკეთესო მუშის წოდება და საპატიო დაფაზე შეიტანონ მათი სახელები.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფორგანიზაციებს საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში მიავლინონ პროფკავშირთა ცენტრალური, რესპუბლიკური და საოლქო კომიტეტების მუშაკები, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საგაზაფხულო თესვისათვის მზადყოფნის შემოწმებაში და საჭირო დახმარება გაუწიონ მათ. ამავე დროს საჭიროა შეამოწმონ საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებთან ანგარიშსწორების სისწორე, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის განვითარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. დავალიანება მუშათა ხელფასის დარგში სავსებით უნდა იქნას ლიკვიდირებული მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე.

საბჭოთა მეურნეობების მუშების, მტს-ების და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირთა საორგანიზაციო ბიუროებს დაევალათ დააწესონ კონტროლი მინდვრის ბანაკების დროულად მოწყობისა და მეურნეობაში მომუშავეთა კვებისადმი. მინდვრად მომუშავეთა კულტურულ-მასობრივი მომსახურების გაუმჯობესებისათვის გამოყოფილია ავტომანქანები მუსიკალური ინსტრუმენტები, რადიომიმღებები, იგზავნება აგრეთვე ესტრადის არტისტთა გამსვლელი ბრიგადები. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაციის დახმარებით

გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ დეკემბერში განიხილა საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების საკითხი. პარტიულმა კრებამ დასახა ღონისძიებანი გუთნებისა და სხვა ინვენტარის დროული შეკეთების, თესლის მომარაგების, მუშა პირუტყვის კარგად გამოზამთრების უზრუნველყოფისათვის.

მიღებული დადგენილების შესრულებას სისტემატურად ამოწმებდნენ. ამის შედეგად კოლმეურნეობა ყოველმხრივ მზად შეხვდა საგაზაფხულო ხვნა-თესვას. მეორე ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი გ. სიბაშვილი ხელმძღვანელობს, მთელ ფართობზე—25 ჰექტარზე უკვე დაამთავრა ხვნა-თესვის სამუშაოები, გეგმის გადამეტებით 3 ჰექტარი მზესუმზირა და 0,2 ჰექტარი კარტოფილი დასთესა, ვენახებში 17 ტონა ნაკელი გაიტანა და 1.500 ჭიგო მოიმარაგა. სამაგალითოდ მუშაობს პარტიის წევრის გიორგი სიმონიშვილის ბრიგადა. მასში 38 შრომისუნარიანი კოლმეურნეა გაერთიანებული. ბრიგადამ საშემოდგომოდ, ნაცვლად 27 ჰექტარისა, 35,86 ჰექტარი მოხნა და დასთესა, საგაზაფხულოდ კი—25 ჰექტარი. გადაჭარბებით არის შესრულებული მზესუმზირის, ხახვისა და კარტოფილის თესვის გეგმა. ამ ბრიგადის მერგოლეურმა სამამულო ომის ინვალიდმა ამხ. გ. ზავრაშვილმა პარტიულ კრებაზე იკისრა, რომ ვადამდე და ხარისხიანად შეასრულებდა საგაზაფხულო სამუშაოებს. მან შარშან 280 შრომადღე გამოიმუშავა. წელს 7 ჰექტარზე დაამთავრა ხვნა-თესვის სამუშაოები და 0,75 ჰექტარის ნაცვლად 1,5 ჰექტარი მზესუმზირა დასთესა.

მეექვსე ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. ა. სიმაშვილი ენერგიულად მუშაობს მევენახეობის დარგში პარტიული კრების მიერ დასახული ღონისძიების განხორციელებისათვის. ვენახის მთელ ფართობზე, რომელიც 11,45 ჰექტარს უდრის, დამთავრდა პირველი ხვნა. ახლა ნაკვეთს მეორედ ხნავენ. ბრიგადამ 12.000 ჭიგოს ნაცვლად 15.000 დაამზადა. ვენახში შეტანილია 35 ტონა ნაკელი.

როგორია კოლმეურნეობის საერთო მაჩვენებლები?

კოლმეურნეობამ საშემოდგომოდ 115 ჰექტარის ნაცვლად 135 ჰექტარი მოხნა და დასთესა. მზრალად მოხნულია 69,5 და საგაზაფხულოდ—65,52 ჰექტარი. ამასთან გეგმის გადამეტებით საგაზაფხულოდ დათესილია 22 ჰექტარი ხორბალი, 29,3 ჰექტარი მზესუმზირა და 22,85 ჰექტარი ხახვი. დიდი გადაჭარბებით შესრულდა ვაზის გადაწვენის გეგმაც. კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია საძირე და საკვირტე მასალებით.

ახლა პარტიული ორგანიზაცია იბრძვის იმისათვის, რომ დაეხმაროს კოლმეურნეობას წარმატებით დაამთავროს ყველა საგაზაფხულო სამუშაო მინდვრებსა და ვენახებში.

ვ. ციხისთავი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მოწოდება ახალი შრომითი გმირობისაკენ

მემინდვრეობის ბრიგადები ალიონზე გამოვიდნენ სამუშაოდ. ვისაც მუშაობა შეუძლია, შინ არ რჩება. ხეხილის ბაღებში, ბოსტანში, სახნავ-სათეს ფართობებში, შემოდგომის ჯეჯილში, ყველგან შრომაა გაჩაღებული. კოლმეურნეები ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ სამუშაო დღე, გადაჭარბებით შეასრულონ დღიური დავალება.

ყოველთვის დაუზარებლად მუშაობდნენ ქვაბისხეველი კოლმეურნეები, მაგრამ ომისშემდგომი პირველი გაზაფხულის დღეები შრომითი გმირობის დღეებად გადაიქცა მათთვის.

აი, გიორგი ხაჭაპურიძის ბრიგადა, მისი ყველა წევრი უკლებლივ გამოვიდა სამუშაოდ. ბრიგადას ნაშუადღევისათვის ხვნა-თესვის დღიური დავალება შესრულებული ჰქონდა და დასასვენებლად ემზადებოდა, როცა ხნულის კიდეზე ქალიშვილი გამოჩნდა. ბრიგადის წევრებმა შორიდანვე იცნეს აგიტატორი ქეთევან ლებანიძე. მათ მახლობლად ხის ქვეშ მოიყარეს თავი.

კოლმეურნეებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალები აინტერესებთ. ისინი ყურადღებით ისმენენ აგიტატორის საუბარს სესიის მიერ მიღებული კანონების შესახებ. კარგად მომზადებულმა საუბარმა დიდი ინტერესით ჩაიარა.

— ამხანაგებო, ჩვენ კიდევ უკეთესად და ბედნიერად უნდა ვიცხოვროთ. ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ჩვენ ასეთ ცხოვრებას შეგვიქმნის. რა თქმა უნდა, ეს თავისთავად არ მოვა. მის მოსაპოვებლად თავდადებით უნდა ვიშრომოთ. ჩვენი ბრიგადის წინაშე დასახული ამოცანა იმ გეგმის მცირე ნაწილია, რომელმაც ასე აღაფრთოვანა ჩვენი ქვეყნის მშრომელები. ეს ამოცანა ჩვენ პირნათლად უნდა შევასრულოთ,—სთქვა ბრიგადირმა გ. ხაჭაპურიძემ.

ბრიგადა კვლავ მინდორში გაიშალა. ყველა ერთი ფიქრით მუშაობს, ყველას სურს თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიად საქმეში. ბრიგადაში ბევრია ისეთი კოლმეურნე, რომელიც ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებს, ისეთი კი არავინაა, გეგმას რომ ვერ ასრულებდეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების პასუხად მნიშვნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება ქვაბისხეველმა კოლმეურნეებმაც. კოლმეურნეები: ვ. მახარაშვილი, ნ. გოგოლაძე, ი. გეგეჭკორი, მერგოლეურები ნ. ოქროპირიძე, ე. გურეშიძე და სხვები ხვნა-თესვის დროს ზუსტად იცავენ აგროწესებს და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს სოფელ დაბის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. აგიტატორები ი. ხეთაგური, პ. ჯაფიაშვილი სისტემატურად აცნობენ კოლმეურნეებს სესიის მასალებს და რაზმავენ მათ ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

ბორჯომის რაიონის კოლმეურნეებმა ახალი ხუთწლიანი გეგმა, უდიდეს სამუშაოთა გეგმა, მიიღეს როგორც მოწოდება ახალი შრომითი გმირობისაკენ, საგაზაფხულო ხვნა-თესვის საუკეთესოდ ჩატარებისაკენ.

ვ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მეტი ფართო მოხმარების საგნები

ბათუმი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). აჭარის ასს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა 1945 წლის გეგმა საერთო მაჩვენებლების მიხედვით 103,7 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით მათ გამოუშვეს 185 ათასი მანეთის პროდუქცია. 8,8 პროცენტით შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. შრომის ნაყოფიერების ამაღლებასთან ერთად 20 პროცენტამდე გაიზარდა მუშათა საშუალო ხელფასი.

ამ მაჩვენებლების მიუხედავად, ადგილობრივი მრეწველობის ბევრი საწარმო დღემდე მოუქნელად მუშაობს. ექვს საწარმოს სანახევროდაც არ შეუსრულებია გეგმა. ადგილობრივი რესურსები მთლიანად არ არის გამოყენებული, ნედლეულის ეკონომიას არ ეწევიან. ამიტომ არ შესრულდა ტრიკოტაჟის, საპნის, ასანთის, ფეხსაცმლის, შაბიამნის და პირველი მოთხოვნილების ფართო მოხმარების სხვა საქონლის გამოშვების დავალებანი. ვერ იცავენ ასორტიმენტს, უშვებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას.

ფართო მოხმარების საგნების ქარხანა, ტრიკოტაჟისა და ავეჯეულობის ფაბრიკები, აგურ-კრამიტის ქარხნები საგრძნობლად ჩამორჩნენ, იმიტომ, რომ მათი ხელმძღვანელები, ნედლეულის მომარაგებაში ინიციატივის გამოჩენის ნაცვლად, თვეობით ელოდებიან მის მიღებას ცენტრალიზებული წესით.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მომარაგების აპარატი. მან ზემდგომი ორგანოების მიერ აჭარისათვის გამოყოფილი 57 სახის სხვადასხვა საქონლის შემოზიდვაც კი ვერ მოახერხა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით აგურ-კრამიტის რამდენიმე ახალი ქარხანა უნდა აგებულიყო, მაგრამ აჭარის ასს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ საჭირო ღონისძიებანი არ განახორციელა და დავალება შეუსრულებელია.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ეთერზეთოვანი კულტურების გადამამუშავებელი ბუკნარის ქარხანა, სარემონტო სახელოსნო, სამშენებლო მასალათა ქარხანა, ბათუმისა და ოჩხამურის აგურ-კრამიტის ქარხნები. ისინი ვერ ასრულებენ პროდუქციის გამოშვების გეგმებს. ფართო მოხმარების საგნების ქარხანაში ჯერ კიდევ პრიმიტიული წესით ამზადებენ საპონს, ხორცკომბინატის ნარჩენთაგან ვერ მოახერხეს საკანცელარიო და სადურგლო წებოს დამზადება. სამშენებლო მასალათა ქარხნის მიერ გამოშვებული ჭურჭელეული, აგური, კრამიტი უვარგისია. წუნდებულ პროდუქციას სხვა საწარმოებიც უშვებენ.

წელს აჭარის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა შარშანდელთან შედარებით ერთიორად მეტი ფართო მოხმარების საქონელი უნდა გამოუშვან, ამასთან გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. დავალება ფრიად საპასუხისმგებლოა. მისი შესრულებისათვის საჭიროა მთელი ძალების დარაზმვა, ყველა შესაძლებლობის უნარიანად გამოყენება. ეს კი თვითეული საწარმოს ადმინისტრაციის და პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს მეტ ინიციატივას, მეტ გამჭრიახობას, მეტ მუშაობას.

ქ. რუსიშვილი

სერიულ ორთქლმავალ „სერგო ორჯონიკიძის“ აწყობა კრასნოიარსკის შრომის წითელი დროშის ორდენოსან ორთქლმავალმშენებელ ქარხანაში. აწყობაზე მუშაობს ოსტატ გიორგი პოპოვის ბრიგადა. ფოტო ს. მალობიცკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მეოთხე სტალინური ხუთწლედის მშენებლობანი

ჩითახევის ჰიდროელექტროსადგური

დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა:

„საქართველოში იქმნება მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობა. საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისის რაიონში შენდება ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო საწარმო — მეტალურგიული ქარხანა, ხოლო ქუთაისში—დიდი საავტომობილო ქარხანა... მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობა წარმოშობს მთელ რიგ ახალ სამრეწველო საწარმოებს, ხოლო რაც მთავარია, მოითხოვს ქვანახშირის მოპოვებისა და ელექტროენერგიის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას“.

საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა სტატიაში—„საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავი“ ამოცანად დასახა:

„უახლოეს დროში დავამთავროთ მშენებლობის პროცესში მყოფი ჰიდროსადგურების აგება და დავიწყოთ ახლების მშენებლობა, ვინაიდან ენერგეტიკული ბაზის გაფართოებაზე დამოკიდებულია ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მთელი შემდგომი ზრდა“.

კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს საქართველოში 169 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების აშენებას.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად შენდება ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური — ჩითახევჰესი. ამ მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 95 მილიონი მანეთი. იგი ელექტროენერგიით მოამარაგებს ახალციხის ქვანახშირის სამრეწველო რაიონს და თბილისის სწრაფად მზარდ მრეწველობას.

ჩითახევჰესის მშენებლობა, რომელიც 1944 წლის მეორე ნახევარში დაიწყო, დაყოფილია 4 ძირითად სამშენებლო უბნად: 1. სადგურის სათავე—საგუბარის მშენებლობა კესონური სისტემით (მშენებლობის უფროსი ამხ. ა. ცქიტიშვილი); 2. სადგურის სათავიდან გვირაბის დასაწყისამდე 2,5 კილომეტრი სიგრძის ღია სადერივაციო არხის მშენებლობა (უფროსი ამხ. ს. იმნაძე); 3. სამკილომეტრიანი გვირაბის გათხრა და დაბეტონება (უფროსი ამხ. გ. გუდაძე); 4. ჰიდროელექტროსადგურის საგენერატორო ნაგებობათა მშენებლობა (უფროსი ამხ. ვ. კერვალიშვილი). ჰიდროელსადგურის მშენებლობასთან შექმნილია აგრეთვე დამხმარე ნაგებობათა მშენებლობის მწარმოებელი უბნები და საამქროები.

ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს 1946 წელს დიდი ამოცანა აქვთ დაკისრებული. მათ მიმდინარე წელს უნდა შესძლონ მთავარი საგუბრის მშენებლობის 50 პროცენტით დამთავრება; ერთნახევარი კილომეტრის სიგრძეზე ღია სადერივაციო არხის მიწის სამუშაოების დასრულება და ერთი კილომეტრის სიგრძეზე მისი დაბეტონება; გვირაბის სამი კილომეტრის სიგრძეზე მიმმართავი ხაზის გაჭრა, 600 მეტრზე მისი კვეთითი გაგანიერება და დაბეტონება; საგენერატორო სადგურის ნაგებობათა წყალქვეშა სამუშაოების დასრულება. ამ ობიექტების წელსვე დამთავრება ძირითადად გადასწყვეტს ჰიდროელექტროსადგურის 1947 წელს ამუშავების საკითხს.

მშენებლობის კოლექტივმა კარგად დაიწყო მეოთხე ხუთწლედის პირველი წელი—იანვრის საწარმოო დავალება 103,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო თებერვლისა—101,8 პროცენტით. მოწინავე რიგებშია გვირაბის პირველი სამშენებლო ქვეუბნის კოლექტივი (უფროსი ამხ. ლ. ჩქარეული), რომელმაც პირველი კვარტალის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

საწარმოო გეგმების შესრულება ბევრად არის დამოკიდებული სამშენებლო მასალების დროულად მომარაგებაზე. მიმდინარე წლიდან ეს საკითხი ძირითადად მოგვარებულია, მაგრამ მშენებლობას ნაწილობრივ ჯერ კიდევ აკლია სახურავი მასალა და ცემენტი.

ადგილობრივი სამშენებლო მასალების გამონახვის, დამზადებისა და მშენებლობისათვის მისი მიწოდების მიზნით ჩამოყალიბებულია სპეციალური საწარმოო ერთეული—დამხმარე წარმოებათა კანტორა. მან სავსებით გაამართლა დანიშნულება. კანტორამ მოაწყო ფინური (მოკლე) ყავრის წარმოება. ყოველდღიურად მზადდება 1.500 ცალი ყავარი. შექმნილია ხის დამმუშავებელი წარმოება იაფი და მაღალი ხარისხის ხე-ტყის გამოსაშვებად. ხაშურის აგურის ქარხანამ მშენებლობას უნდა მიაწოდოს 800 ათასი ცალი აგური. გარდა ამისა, კანტორას დამუშავებული აქვს მშენებლობის ახლოს, ერთ-ერთ სოფელში საკუთარი აგურ-კრამიტის ქარხნის აგების გეგმა.

სადგურის მშენებლობის ხელმძღვანელობამ შექმნა და მაღალხარისხოვანი დაზგებით მოაწყო მექანიკური სახელოსნო, სადაც გამოცდილი ოსტატები და ხელოსნები მუშაობენ. სახელოსნოში გვირაბისა და მშენებლობის სხვა ობიექტებისათვის ამზადებენ რთულ ხელსაწყო-იარაღებს. მაგრამ სახელოსნო (გამგე ამხ. სადინსკი) ჯერ კიდევ ვერ მუშაობს დამაკმაყოფილებლად. მას სათანადოდ არა აქვს მოგვარებული გამოშვებული პროდუქციისა და მატერიალურ ღირებულებათა ზუსტი აღრიცხვა. გაჭიანურდა სახელოსნოს მიერ დიდი ჩარხო-ხერხის დადგმა და მისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების დამზადება. ეს ნაკლოვანებები სახელოსნოს კოლექტივმა უმოკლეს ვადაში უნდა აღმოფხვრას.

საწარმოო გეგმების შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მხრივ მშენებლობას საგრძნობი მიღწევები აქვს. უკვე დამთავრებულია ხუთი საცხოვრებელი სახლის აგება და მოწყობა. მათ შორის ორი მუშათა საერთო საცხოვრებელია. ამ სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემამ შესაძლებელი გახადა სოფლებში გაფანტული, ნაქირავებ სახლებში მოთავსებული მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მშენებლობის ახლოს გადმოყვანა. ახალი ბინები უზრუნველყოფილია ელექტროგანათებით, მომარაგებულია რკინის საწოლებით, სუფთა ლოგინით და პირველი მოთხოვნილების სხვა საოჯახო ნივთებით. დამთავრდა საკუთარი წყალსადენის მშენებლობა, მალე დამთავრდება აბანოსა და სამრეცხაოს აგება.

ჰიდროელექტროსადგური ადგილობრივი, საბჭოთა საქართველოს სპეციალისტთა ძალებით შენდება. მშენებლობას ჰყავს გამოცდილი და მცოდნე ინჟინრები ქ. ანდღულაძე, გ. გუდაძე, ა. ცქიტიშვილი, ი. თოფაძე, ვ. კერვალიშვილი, ვ. ნაზარბეგოვი, დ. გუნია, ვ. მიქობაძე, ლ. ჩქარეული, ვ. სტრელკოვი, ზ. ცაგარელი, ცაბაძე და სხვები.

ბოლშევიკების პარტია, დიდი სტალინი მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებას, მასებში პოლიტიკური მუშაობის გაღრმავებას. ეს დიდი საქმე მშენებლობაზე ძალიან ჩამორჩებოდა. რაიონულმა კომიტეტმა საჭიროდ სცნო პარტბიუროს მდივნის შეცვლა. პარტბიუროს მდივნად არჩეულია ამხ. ს. კეკნაძე, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი მუშაობას. საჭიროა მშენებლობის პარტიულმა ორგანიზაციამ უზრუნველჰყოს პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაშლა და მშენებლობის კადრების თეორიული დონის ამაღლება.

ხალხთა ბელადის დიდი სტალინის სიტყვით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლების კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ 1947 წელს მწყობრში ჩადგეს საქართველოს ეს ერთ-ერთი მძლავრი ენერგეტიკული ობიექტი.

ა. ლალიძე

სასადილოების მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს

სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ და საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად „კომუნისტის“ რედაქციამ ჩაატარა რეიდი თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტის სასადილოების მუშაობის შესამოწმებლად.

რეიდმა ცხადჰყო, რომ ტრესტმა უკანასკნელ ხანებში გააუმჯობესა სასადილოების მუშაობა. ქალაქის მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით გახსნილია 11 საერთო სასადილო, 10 კომერციული სასადილო, 19 ღია ტიპისა, 1 რესტორანი, 8 საჩაიე, ერთი ლუდხანა, 39 სასაუზმე და პავილიონი. შედარებით კარგად მუშაობენ სასადილოები „მოსკოვი“, „კოლხიდა“, „სიმპატია“ № 165 და № 115 სასადილოები. აქ მზადდება ხარისხიანი სადილები, დაცულია სისუფთავე, კარგად არის დაყენებული მომხმარებელთა მომსახურება.

გამოვლინდა სერიოზული დეფექტები და დანაშაულობანიც. მთელ რიგ სასადილოებში არღვევენ სახელმწიფო ვაჭრობის წესებს, საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება ინვენტარი, სკამები, მაგიდები, თეფშები, დანა-ჩანგალი, სუფრები. მოსამსახურე პერსონალი დაკომპლექტებული არ არის შემოწმებული და უნარიანი მუშაკებით, ადგილი აქვს მომხმარებლებისადმი უკულტურო, არათავაზიან მოპყრობას, დაბალია დამზადებული სადილების ხარისხი, კონტროლი არ ეწევა პროდუქტების დანიშნულებისამებრ გამოყენებას, მომხმარებლებს ატყუებენ წონაში, ამახინჯებენ ფასებს.

საბჭოს ქუჩაზე № 97 სასადილოში (გამგე ალ. გონგაძე) მომხმარებლებს ზედმეტ ფასებში აძლევენ კერძს. აქ ორ კერძ კატლეტში და 100 გრამ არაყში 75 მანეთი აიღეს. სასადილო „ევროპაში“ (გამგე აგასოვი) კერძებს სისტემატურად აკლებენ 20-30 გრამ ხორცს, ფასს კი ორმაგად ახდევინებენ.

შაუმიანის მოედანთან № 116 სასადილოში (გამგე არუშანოვი, მებუფეტე გელვანიშვილი) 12 მანეთად ღირებულ ფუნთუშას 14 მანეთად ჰყიდიან, ელბაქიძის დაღმართზე № 117 სასადილოში (გამგე რამიშვილი) 14 მანეთად ღირებულ კერძს ყიდიან 18-20 მანეთად სასადილოს გამგემ რამიშვილმა ასეთი „არგუმენტი“ მოიყვანა გასამართლებლად: „სადილებს ზედმეტ ფასებში იმიტომ ვყიდით, რომ ამ გზით აღებული ფულით სანთელს ვყიდულობთო“. ტოლსტოის ქუჩაზე № 101 სასადილოში (გამგე გუჯაბიძე, მზარეული საბანაძე) კერძს სისტემატურად 10-20 გრამ ხორცსა და 3-5 გრამ ცხიმს აკლებენ.

სასადილო „ვოსტოკში“ (გამგე დარცმელია) 16 მანეთად ღირებულ კომპლექტს მიმტანი ინჩენკო 20 მანეთად ჰყიდდა. როდესაც რეიდის მონაწილეებმა მენიუ მოსთხოვეს, მან ჯერ მიტანაზე უარი განაცხადა, შემდეგ კი წარუდგინა, მაგრამ ძველი თარიღისა.

ბრძოლის ქუჩაზე № 32 სასადილოში (გამგე უგრეხელიძე) აღმოჩნდა ღვინით სავსე 500 ლიტრიანი კასრი, რაზედაც ფაქტურა არ ჰქონდათ. ამ სასადილოს მუშაკები ხშირად ყიდულობენ ბაზარზე პროდუქტებს, ამზადებენ სადილებს და მათ სპეკულანტურ ფასებში ჰყიდიან. № 132 სასაუზმესა და № 109 სასადილოში არა აქვთ მენზურები, სასმელებს თვალით ზომავენ და ისე ჰყიდიან. ჟორესის ქუჩაზე № 198 სასაუზმეში (გამგე თუმანიშვილი) მებუფეტე თოხაძემ ერთ ლიტრ ლუდსა და 50 გრამ არაყში 21 მანეთის ნაცვლად მომხმარებელს 50 მანეთი გადაახდევინა. № 91 სასაუზმეში (გამგე ჩიგოგიძე, მებუფეტე გოგსაძე) მომხმარებელს ერთ ჭიქა ლუდსა და 50 გრამ არაყში 27 მანეთი გადაახდევინეს.

№ 139 სასაუზმეში (გამგე დაუშვილი, მებუფეტე დარციმელიძე) 50 კაპიკად ღირებულ 155 გრამ ლობიოს 10 მანეთად ჰყიდიან, მომხმარებლებს სისტემატურად აკლებენ წონაში ლუდსა და სხვა სასმელებს.

სასადილო „კავკაზში“ სამზარეულოს რემონტი ესაჭიროება. მოშლილია მაზუთის მიმწოდებელი აუზი. მაზუთს ფრქვევანას აწვდიან სასადილოს ქვაბების გვერდით დადგმული თავღია ვედროებიდან. მაზუთი იღვრება, დაზიანებული ქურიდან გამოსული ბოლი სამზარეულოს აბნელებს და უსუფთაობას ჰქმნის.

მთელ რიგ სასადილოებში კასრებიდან ღვინოს იღებენ ჭუჭყიანი რეზინით. ჭუჭყი და სიბინძურეა № 117 სასადილოში. აქ სადილებსაც უხარისხოს ამზადებენ.

ფასების დამახინჯებას ადგილი აქვს აგრეთვე სასაუზმეებში. შაუმიანის მოედანთან მდებარე სასაუზმეში მებუფეტე ვლასოვი 12 მანეთად ღირებულ ხაშს 20-30 მანეთად ჰყიდდა. № 5 სასაუზმეში (გამგე ინასარიძე, მოადგილე გრძელიშვილი) ერთ ლიტრ ლუდში, 50 გრამ არაყსა, 300 გრამ პურსა და სამ კერძ ძეხვში ნაცვლად 94 მანეთისა და 20 კაპიკისა, 175 მანეთი აიღეს.

ტრესტის ზოგიერთ სასადილოში არა აქვთ მენიუ, თუ აქვთ, მალავენ, არ უჩვენებენ მომხმარებელს, რომ ამით უფრო ადვილად დაჰფარონ ბოროტმოქმედების კვალი.

სასადილოს ხელმძღვანელები არ ეხმაურებიან მშრომელთა სიგნალებს, საჩივრებსა და საქმიან წინადადებებს. საჩივრის წიგნები წესრიგში არ არის, მოთხოვნისას მათ არ აძლევენ მოქალაქეებს. სასადილო „კავკაზის“ საჩივრის წიგნში მოქალაქეები ფეოდოროვი, ვადაჭკორია, ცაბაძე და სხვები სადილის გაცემის დაგვიანებას და მენიუს უქონლობას აღნიშნავენ. მათი საჩივრებისათვის არავის მიუქცევია ყურადღება. ამ სასადილოზე მიმაგრებულ მოქალაქე ლაშენკოს კუთვნილი სადილი არ მისცეს და საჩივარიც უპასუხოდ დასტოვეს.

საზკვებტრესტის მუშაკები, რომლებიც სასადილოებსა და სასაუზმეებში ხშირად დადიან, რატომღაც „ვერ ამჩნევენ“ ყველა ამ უმსგავსოებას. სუსტია კონტროლი პროდუქტების ხარჯვაზე. ნაკლები ყურადღება ექცევა შემოწმებული და უნარიანი კადრების შერჩევას. სუსტად იბრძვიან სახელმწიფო ფასების დამახინჯების წინააღმდეგ. შესაფერისად არ სჯიან ბოროტმოქმედთ და ხშირად, პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად, დამნაშავე ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავთ. მაგალითად, № 178 პავილიონში მუშაობდა მებუფეტე დაუშვილი. მას დაუმტკიცდა, რომ უფაქტუროდ ჰყიდდა ლობიოს და სხვა პროდუქტებს. ამ დანაშაულისათვის საზკვებტრესტმა იგი მოხსნა სამუშაოდან, მაგრამ ამჟამად № 132 სასაუზმეს გამგედ მუშაობს.

თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტის სისტემა უნდა გაიწმინდოს ჭამლეჯთა და ბოროტმოქმედთაგან. ტრესტის მუშაკების ამოცანაა გადაჭრით გააუმჯობესონ სასადილოების მუშაობა და უზრუნველჰყონ მშრომელთა საზოგადოებრივი კვების სანიმუშოდ დაყენება.

რეიდის მონაწილენი:

პ. გუნიავა, გ. ხენგავა,
შ. ჭოჭუა, რ. პაპინიანი,
ი. არჯევანიძე, ქ. ცერცვაძე,
ს. ხანთაძე.

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

მეთექვსმეტე ტურში კერესმა მოუგო არუთინოვს, მიკენასმა შიშოვს, ნერსესოვმა ებრალიძეს, ფალავანდიშვილმა სოროკინს, სერედამ ქარსელაძეს. ფირცხალავა-ვეიზერის პარტია გადაიდო პირველისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. ბლაგიძეს მოგების შანსები აქვს ალამალიანთან. გადაიდო გიორგაძე-პეტროსიანის პარტიაც. ცინცაძე-ზაგორიანსკის პარტია არ გათამაშებულა.

დღეს, 5 აპრილს, გათამაშდება მეჩვიდმეტე ტური. ბლაგიძე შეხვდება მიკენასს, სერედა კერესს, პეტროსიანი ზაგორიანსკის და გაჩეჩილაძე ებრალიძეს.

სპორტი

ფეხბურთის მსაჯთა საკავშირო შეკრება თბილისში

3 აპრილს თბილისში დაიწყო ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის 30 საუკეთესო მსაჯის სასწავლო შეკრება. შეკრების მონაწილეთა შორის ბევრია ძველი მსაჯი—სამამულო ომის მონაწილე. მათ შორის არიან საკავშირო კატეგორიის მსაჯი მაიორი დმიტრიევი (მოსკოვი), საკავშირო კატეგორიის მსაჯი მორგუნოვი (მოსკოვი) და სხვ. ამ დღეებში ჩამოვლენ აგრეთვე შჩელჩკოვი (დონის როსტოვი), პავლოვი (ლენინგრადი), მჩერბაკოვი (მოსკოვი) და სხვები.

საქართველოდან შეკრებაში მონაწილეობენ: ჩხატარაშვილი, კრავჩენკო, გვარჯალაძე.

შეკრების უფროსის მოადგილემ, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ი. ს. კოლტუნოვმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ფეხბურთის მსაჯთა მიმდინარე მეხუთე შეკრების ძირითად ამოცანას შეადგენს მსაჯების მომზადება მომავალი საკავშირო შეჯიბრებისათვის და მათი მეშვეობით ადგილებზე მსაჯთა ახალი კადრების მომზადება ადგილობრივ შეჯიბრებათა მომსახურებისათვის.

სასწავლო გეგმით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მიერ, გათვალისწინებულია მსაჯთა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მომზადება. თეორიის შესწავლის დროს ჩვენი მიზანია დავნერგოთ თამაშის წესების ერთიანი გაგება. ბევრ დროს ვუთმობთ აგრეთვე მსაჯობის მეთოდების შესწავლას, რისთვისაც თეორიული მეცადინეობა დაკავშირებული იქნება პრაქტიკასთან ამხანაგური მატჩების მსაჯობის მოწყობით. ამ მიზნით მსაჯები სეზონის გახსნამდე მოემსახურებიან ფეხბურთის მატჩებს, რომლებიც ჩატარდება ამიერკავკასიაში. ამასთან შეკრებაზე მოეწყობა მსაჯების ცალკეული მუშაობის გარჩევა.

შეკრების მონაწილენი გაივლიან შემდეგ კურსს: საკავშირო შეჯიბრებათა დებულებანი, თამაშის წესები, თამაშის წესების დარღვევის პრაქტიკული მაგალითები, ფეხბურთის თამაშის ტექნიკა და ტაქტიკა, ფეხბურთის ისტორია, მსაჯობის მეთოდიკა, სპორტული ტრავმები და პირველი დახმარება, ფეხბურთის თამაში და მსაჯობა საზღვარგარეთ (1945 წელს საბჭოთა ფეხბურთელების საზღვარგარეთ მოგზაურობის პრაქტიკიდან), შეჯიბრების ორგანიზაცია და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მსაჯების ფიზიკურად მომზადებას, რისთვისაც ეწყობა მათი ყოველდღიურად წვრთნა.

პირველი მატჩი ფეხბურთში

7 აპრილს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე პირველად 1946 წლის სეზონში ჩატარდება სავარჯიშო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ამ დღეს თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდი ეთამაშება მოსკოვის სამხედრო ოლქის ფეხბურთელთა გუნდს. როგორც ცნობილია, ამ გუნდმა გასულ წელს პირველი ადგილი დაიკავა საკავშირო შეჯიბრებაში (მეორე ჯგუფი). იგი წელს პირველ ჯგუფში ითამაშებს.

თამაში დღის 2 საათზე დაიწყება.

კომუნისტი

პარასკევი, 5 აპრილი, 1946 წ. № 69 (7542)

ინდოეთი და მისი ხალხები*

(გეოგრაფიული შენიშვნები)

ერთ-ერთმა სამთავრომ—რივამ, მიუხედავად თავისი მცირე ოდენობისა, ამას წინათ ინდოეთის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ინდოეთის მთავრობამ იქ გადააყენა რაჯა, რომელიც ამ სამთავროს მართავდა, რაც ძალიან იშვიათად ხდება. ინდური გაზეთების სიტყვით, ამ არაჩვეულებრივი აქტის მიზეზი გახდა მთავრის ბრძანებულება პროვინციაში კონსტიტუციური მმართველობის შემოღებისა და საპარლამენტო დაწესებულებათა შექმნის შესახებ.

შეერთებული პროვინციების აღმოსავლეთით, განგის ქვემოწელში, მდებარეობს დიდი პროვინცია ბიჰარი, რომლის ფართობიც უდრის 179 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა კი შეადგენს 36 მილიონ კაცს. ბიჰარის მთავარი ქალაქი—პატნა ერთ-ერთი უძველესი ქალაქია ინდოეთში. მაგრამ ამჟამად ეს არის პატარა ქალაქი, სადაც 175 ათასი კაცი ცხოვრობს.

ბიჰარის სამხრეთი ნაწილი თავისი ბუნებითა და ეკონომიკით მკვეთრად განირჩევა ჩრდილოეთი ნაწილისაგან. მას ეწოდება ჩოტა ნაგპური და წარმოადგენს ტყეებით დაფარულ მთიან ადგილს. აქ მოსახლეობენ სხვადასხვა ხალხები: სანტალები, მუნდა, ორაონი, ჰონდები,—რომელთაც თავიანთ ყოფაცხოვრებაში მრავალი პირველყოფილი ზნე-ჩვეულება შეუნარჩუნებიათ. ჩოტა ნაგპური სამთო მრეწველობის ცენტრია. ეს არის თავისებური ინდური ურალი,—აქ შედარებით მცირე ფართობზე მოიპოვება ქვანახშირის, რკინის მადნის, სპილენძისა და ვერცხლის უხვი და საუკეთესო ხარისხის მარაგი.

ქალაქ ჯამშედპურში, სადაც დაახლოებით 150 ათასი მცხოვრებია, არის ინდოეთის უდიდესი კომბინატი ტატა, რომელიც ინდოეთის თუჯის მთელი პროდუქციის 50-ზე მეტ პროცენტს და ფოლადის პროდუქციის 60 პროცენტს იძლევა.

ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ეს უმნიშვნელოვანესი რაიონი გამოყოფილია ბიჰარის პროვინციული საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობის სფეროდან და მას მართავს უშუალოდ პროვინციის გუბერნატორი თავის მოხელეთა საშუალებით.

შეერთებული პროვინციების, ბიჰარის, რაჯპუტანის, ცენტრალური ინდოეთის სამთავროების და ცენტრალური პროვინციების ერთ ნაწილში, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, მოსახლეობა ლაპარაკობს ჰინდური ენის სხვადასხვა კილოკავზე. ამ ოლქში ლიტერატურული ენებია ჰინდი და ურდუ. ორივე ეს ენა წარმოსდგა ერთი და იმავე სალაპარაკო დიალექტის საფუძველზე, რომელსაც ეწოდება ჰინდუსტანი, მაგრამ ჰინდი სარგებლობს სანსკრიტული ანბანით და სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და სიტყვებს, რომლებიც განყენებულ ცნებებს აღნიშნავენ, იღებს სანსკრიტიდან, ურდუ კი ხმარობს არაბულ ანბანს და სამეცნიერო ტერმინოლოგიას სესხულობს სპარსული და არაბული ენებიდან. ჰინდუსტანი გაცილებით ადრე, სანამ ინდოეთს ინგლისელები დაიპყრობდნენ, გახდა ინდოეთის ერთგვარი საეროვნებათშორისო ენა. ინდოეთის ყოველ ქალაქში შეიძლება შევხვდეთ ხალხს, რომელმაც ეს ენა იცის. ჰინდსა და ურდუს ენებზე იცემა ბევრი გაზეთი და ჟურნალი, თუმცა ორიგინალური ლიტერატურის მხრივ ორივე ეს ენა ბენგალურს ჩამორჩება.

ბიჰარის აღმოსავლეთით, უზარმაზარ დელტაში, რასაც ჰქმნიან მდინარეები განგი და ბრამაპუტრა და რომელიც დასერილია მათი მრავალი ტოტით, მდებარეობს ინდოეთის ყველაზე უფრო დასახლებული და სამრეწველო მხრივ ყველაზე განვითარებული პროვინცია—ბენგალია. მისი ფართობი უდრის 200 ათას კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 60 მილიონზე მეტ კაცს შეადგენს. ბენგალიაში მოდის ყველაზე მეტი ნალექი, ვიდრე მის დასავლეთით მდებარე პროვინციებში, ამიტომ მისი ძირითადი სასურსათო კულტურა არის ბრინჯი, ხოლო ტექნიკური—ქერელა (ჯუტი). ბენგალიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა საკმაოდ ერთგვარია. 92 პროცენტს შეადგენენ ბენგალიელები, რომლებიც ეკუთვნიან ინდოეთის კულტურულად ყველაზე უფრო განვითარებულ ხალხებს. ბენგალიის ლიტერატურამ წარმოშვა მსოფლიოში ცნობილი ისეთი დიდი მწერლები, როგორც ბანკიმ ჩანდრა ჩატერჯი და რაბინდრანათ თაგორი. ბენგალიის მოსახლეობის 54 პროცენტს შეადგენენ მუსლიმანები, 45 პროცენტს კი—ინდუსები.

ბენგალიის ადმინისტრაციული ცენტრი, აგრეთვე მისი სამრეწველო და კულტურული ცენტრია კალკუტა, ქალაქი, სადაც 2 მილიონი მოსახლე ცხოვრობს. კალკუტა მდებარეობს განგის ტოტ ჰუგლზე, ასი და მეტი კილომეტრით ოკეანიდან, მაგრამ ეს არის უდიდესი საოკეანო ნავსადგური. კალკუტის გარეუბანი—ჰოვრა ინდოეთის უდიდესი სარკინიგზო კვანძია, საიდანაც რკინიგზები გადიან ყველა მიმართულებით. კალკუტაში თავმოყრილია ინდოეთის თითქმის მთელი ქერელის მრეწველობა. ასიათასობით მუშა მუშაობს აქ ფაბრიკებში, ქარხნებში, დოკებსა და რკინიგზის სახელოსნოებში.

კალკუტა ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრია. სისხლისმღვრელი მოვლენები, რომლებიც ამჟამად კალკუტაშია, მთელი ქვეყნის ყურადღებას იპყრობენ. ანტიინგლისური გამოსვლების უშუალო საბაბი აქ გახდა ეგრეთწოდებული ინდოეთის ეროვნული არმიის[1] გასამართლება, რამაც მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია. კალკუტაში მღელვარე დემონსტრაციები ხდება. პოლიციისა და ჯარის ნაწილები ხვრეტენ დემონსტრანტებს, მოკლულია ასობით და დაჭრილია ათასობით კაცი.

ბენგალია ეკუთვნის იმ პროვინციების რიცხვს, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდნენ ომის დროს შიმშილით, რის გამოც 3 მილიონზე მეტი კაცი მოკვდა. გასაკვირველი როდია, რომ უკმაყოფილება არსებული მდგომარეობით აქ განსაკუთრებით ძლიერია.

ბენგალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ასამის პროვინცია, რომელსაც უკავია მთლიანი ადგილი ბრამაპუტრისა და მის შენაკად სურმის გასწვრივ. მისი ფართობი უდრის 142 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა კი—10 მილიონ კაცს, მათ შორის 43 პროცენტს შეადგენენ ბენგალიელები, 21 პროცენტს—ენით ბენგალიელების მონათესავე ასამელები, რომლებიც განსაკუთრებულ ერს წარმოადგენენ. დანარჩენი 36 პროცენტი არის მრავალი მთიელი ხალხი, რომლებიც ბირმელებსა და ტიბეტელებს ენათესავებიან. პროვინციის მოსახლეობის 33 პროცენტზე მეტი ისლამს აღიარებს. ასამი ჩაის პლანტაციების მთავარი ცენტრია. გარდა ამისა, აქ მოიპოვება ნავთი.

ბენგალიამ და ასამმა, მუსლიმანური ლიგის გეგმით, უნდა შეადგინონ პაკისტანის მეორე, აღმოსავლეთი ზონა. ამასთან ბენგალიის დასავლეთი ნაწილიც კი, სადაც ინდური მოსახლეობა სჭარბობს, აგრეთვე ქალაქი კალკუტა, ჯინას განცხადების თანახმად, ნავარაუდევია შევიდეს პაკისტანში. კალკუტიდან რომ სამხრეთით სამხრეთ ინდოეთის უმნიშვნელოვანეს ცენტრ ქალაქ მადრასისაკენ წავიდეთ, უნდა გადავჭრათ ორისის პროვინცია ბენგალიის ყურის ნაპირზე. ორისას უკავია 76 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი, სადაც 9 მილიონამდე კაცი ცხოვრობს. იგი მდიდარია რკინის საბადოებით, მარგანეცის მადნითა და ქვანახშირით. მისი მოსახლეობა შეადგენს განსაკუთრებულ ეროვნებას—ორიას, რომლის ენა, ისე როგორც ასამური ენა, ბენგალურის მახლობელია. ორისა, ისე როგორც ბენგალია და ბიჰარი, არის დიდი მემამულური მიწათმფლობელობისა და ღარიბი გლეხობის ქვეყანა. აქ არ არიან დიდი სამრეწველო ცენტრები. ამიტომ, ორისის გლეხები ინდოეთის სხვა რაიონებში, განსაკუთრებით კალკუტაში მიდიან სამუშაოზე. თითქმის მთელ ინდოეთში პალანკინების დამტარებლები და შავი მუშები ორისელები არიან. ორისის მთავარი ქალაქია კატაკი, მცირე ნავსადგური.

სამხრეთით ორისა საზღვრავს მადრასის პროვინციას, რომელიც მთელ სამხრეთ ინდოეთს მოიცავს. ეს არის ბრიტანეთის ინდოეთის ყველაზე დიდი პროვინცია ტერიტორიით (322 ათასი კვადრატული კილომეტრი) და ბენგალიისა და შეერთებული პროვინციების შემდეგ მესამე პროვინცია მოსახლეობის რაოდენობით (49 მილიონი კაცი).

პროვინციის მთავარი ქალაქია მადრასი, ინდოეთის მესამე ქალაქი სიდიდით, სადაც 780 ათასამდე კაცი ცხოვრობს. ეს არის მნიშვნელოვანი ნავსადგური, დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. წმიდა ქალაქი მადურა (939 ათასი მცხოვრები) ცნობილია უძველესი ტაძრებით, რომლებიც ინდური ხუროთმოძღვრების ფრიად საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

პროვინციაში მოსახლეობს ოთხი დრავიდული ხალხი, სახელდობრ ტელუგუ ანუ ანდჰრა, ტამილები, კანარა და მალაიალი. ანდჰრის საერთო რაოდენობა დაახლოებით 30 მილიონს უდრის, მაგრამ ამ პროვინციაში ისინი 20 მილიონზე ცოტა მეტი არიან, ხოლო დაახლოებით 10 მილიონი ცხოვრობს ჰაიდარაბადის სამთავროს—ინდოეთის ყველაზე უფრო დიდი სამთავროს აღმოსავლეთ ნაწილში. მისი ფართობი უდრის 244 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა კი 16 მილიონზე მეტ კაცს შეადგენს. სამთავროს დედაქალაქია ჰაიდარაბადი, ინდოეთის მეოთხე ქალაქი სიდიდით, სადაც 739 ათასი კაცი ცხოვრობს. ჰაიდარაბადს მართავს მუსლიმანი თავადი, რომელსაც ნიზამის ტიტული აქვს. მუსლიმანები მის ქვეშევრდომთა მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენენ. მოსახლეობის 84 პროცენტი აღიარებს ინდუიზმს, ჰაიდარაბადი ერთადერთი სამთავროა, რომელსაც თავისი, ინდოეთისაგან განსხვავებული ფულის სისტემა აქვს. ჰაიდარაბადის სამთავროში საკმაოდ განვითარებულია რკინიგზების ქსელი.

მადრასის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი დასახლებულია ტამილებით და ეწოდება ტამილ ნადუ, ე. ი. ტამილების ქვეყანა. ტამილების რაოდენობა 20 მილიონზე მეტია. ინდოეთის ფარგლებში ისინი თითქმის ყველანი თავმოყრილი არიან მადრასის პროვინციაში, მაგრამ ორ-სამ მილიონამდე ცხოვრობს ინდოეთს გარეთ, სახელდობრ: ცეილონზე, მალაიაში, მავრიკის კუნძულზე, სამხრეთ აფრიკასა და ვესტინდოეთშიც კი. ტამილები უძველესი კულტურის ხალხია. ამჟამად ისინი ეკუთვნიან ინდოეთის ყველაზე უფრო კულტურულ ხალხებს და ამ მხრივ ბენგალიელებს ეცილებიან.

მალაბარის ნაპირი დასახლებულია მალაიალი ხალხით, რომელიც ენით ძლიერ ენათესავება ტამილებს და რომელთა საერთო რაოდენობაც 10 მილიონს უდრის. მალაბარის ნაპირი მემამულური მიწათმფლობელობის რაიონია. მემამულეთა უმრავლესობა აქ არიან ნამბუტრი ბრაჰმინები; ისინი მიწას აძლევენ მოიჯარეებს, რომლებიც ნაირების სამხედრო კასტას ეკუთვნიან. ესენი კი თავის მხრივ მიწას აძლევენ სუბმოიჯარეებს ტიის კასტიდან, და ამ კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე დგანან შეუხებელნი, ჩერუმა, რომლებიც დღემდე ნახევრად ბატონყმურ მდგომარეობაში იმყოფებიან. მალაიალები ძალიან თავისებური ხალხია, რომელსაც შეუნარჩუნებია მრავალი გადანაშთი ძველისძველი დროისა. ერთ-ერთ ასეთ გადანაშთს წარმოადგენს მატრიარქალური ოჯახი. ტრავანკურის სამთავროში, რომელსაც ნაირთა კასტის მთავრები განაგებენ, ტახტიც კი ქალთა ხაზით გადადის. მალაიალები ეკუთვნიან ინდოეთის ყველაზე უფრო განათლებულ ხალხებს, ამასთან წერა-კითხვის მცოდნეთა საკმაოდ დიდი პროცენტი მოდის ქალებზე, რაც დაკავშირებულია მათს უფრო თავისუფალ მდგომარეობასთან მატრიარქალურ ოჯახში. მალაიალთა მეტი ნაწილი აღიარებს ინდუიზმს, მაგრამ მალაბარის ნაპირზე ბევრი ქრისტიანი (20 პროცენტამდე) და მუსლიმანია.

მალაიალებით დასახლებულ ოლქს ეწოდება ქერალა. ქერალის ჩრდილოეთით მდებარეობს ქვეყანა, რომელსაც კარნატაკა ეწოდება და დასახლებულია ტამილებისა და მალაიალების მონათესავე კანარა ხალხით. ამ ხალხის რაოდენობა დაახლოებით 13-14 მილიონს უდრის. ამჟამად კანარა გაყოფილია რამდენიმე ათეულ ადმინისტრაციულ ერთეულად. კანარა ხალხის ძირითადი მასა ცხოვრობს მაისურის სამთავროში. მაისური მეორე სამთავროა ინდოეთში მოსახლეობის რაოდენობით: აქ ცხოვრობს 7,3 მილიონი კაცი, რომელთაგან 70 პროცენტი კანარაა.

ვინაიდან სამხრეთის მდინარეები ცვალებადია, და წყლის დონე მათში მთლიანად დამოკიდებულია ნალექთა რაოდენობაზე, მადრასის პროვინციას ხშირად აზარალებს გვალვა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პრიმიტიული დონე და გლეხთა სიღარიბე ჰქმნიან პირობებს, რომლებშიც მორიგი გვალვა კატასტროფად იქცევა ხოლმე მოსახლეობისათვის.

მადრასის პროვინციის ჩრდილოეთით არაბეთის ზღვის სანაპიროს გასწვრივ ფართო ზოლად არის გადაჭიმული ბომბეის პროვინცია. მისი ფართობი უდრის 200 ათას კვადრატულ კილომეტრს და მოსახლეობა შეადგენს 20 მილიონ კაცს, რომლებიც რამდენიმე ეროვნებად იყოფიან. უკიდურეს სამხრეთში ცხოვრობენ კანარა, ჩრდილოეთით — მარატჰი, რომლებიც პროვინციის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 45 პროცენტს შეადგენენ. ამ ხალხის საერთო რაოდენობა 20 მილიონზე მეტ კაცს უდრის, ბომბეის პროვინციაში ცხოვრობს მათი ნახევარზე ნაკლები. დანარჩენები მოსახლეობენ ჰაიდარაბადის სამთავროს დასავლეთ ნაწილში, ცენტრალური პროვინციების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილსა და ბერარში. მარატჰები დიდ როლს ასრულებდნენ ინდოეთის ისტორიაში და ინგლისელების მიერ მისი დაპყრობისას შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ. ეს ძალიან მეომარი ხალხია, რომელსაც აქვს საკმაოდ განვითარებული ეროვნული კულტურა. ინდოეთის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ამ ეროვნებას ეკუთვნის.

ბომბეის პროვინციის უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ გუჯარათები. მარატჰებთან შედარებით, ეს ძალიან მშვიდობიანი ხალხია — გლეხები, ხელოსნები და ვაჭრები. მათი რიცხვი დაახლოებით 12 მილიონს უდრის. გუჯარათულ ენაზე არსებობს მდიდარი და საკმაოდ ძველი ლიტერატურა. ეს ენა, ისე როგორც მარატჰის, ჰინდუსტანის, ბენგალის, ორიას, პენჯაბის ენები, ეკუთვნის ახალ-ინდურ ანუ ინდო-არიული ენების რიცხვს.

მრეწველობის განვითარების დონით ბომბეის პროვინციას მეორე ადგილი უკავია ბენგალიის შემდეგ. პროვინციის მთავარი ქალაქია ბომბეი, მეორე ქალაქი სიდიდით, სადაც 1.489 ათასი კაცი ცხოვრობს. ბომბეი ინდოეთის საუკეთესო ნავსადგურია და მისი ბამბეული მრეწველობის უდიდესი ცენტრია. ბომბეის მუშათა კლასი წამყვან როლს ასრულებს ინდოეთის მუშათა მოძრაობაში. ბომბეი მრავალერიანი ქალაქია. მისი მოსახლეობის მეტ ნაწილს შეადგენენ მარატჰები, მეორე ადგილზე არიან გუჯარათები. ბომბეელ კაპიტალისტთა შორის ბევრია ზოროასტრი ფარსი.

ბომბეის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობენ ცენტრალური პროვინციები და ბერარი. მათი ფართობი უდრის 255 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა კი შეადგენს 16,8 მილიონ კაცს. მათ შორის 31 პროცენტი მარატჰებია და 53 პროცენტი ჰინდუსტანი. პროვინციის მთებში დარჩენილან ჰონდები, რომლებიც ოდესღაც ამ ოლქს მართავდნენ. პროვინცია მდიდარია მარგანეცის მადნით, არის აგრეთვე ქვანახშირი და მარმარილო. მთავარი ქალაქი ნაგპური (300 ათასი მცხოვრები) დიდი სარკინიგზო კვანძი და ბამბეულის მრეწველობის ცენტრია. ნაგპურზე გადის გზა, რომელიც ბომბეის აკავშირებს კალკუტასთან. იგი ფართო ლიანდაგიანი რკინიგზით დაკავშირებულია აგრეთვე დელისთან. ქალაქ ჯაბალპურში (178 ათასი მცხოვრები) არის დიდრონი სამხედრო ქარხნები.

ცენტრალურ პროვინციებში, ისე როგორც ბომბეისა და მადრასის პროვინციებში, ამჟამად გამეფებულია შიმშილობა, რაც უფრო მძიმე შედეგებს უქმნის მოსახლეობას, ვიდრე ომიანობის დროს არსებული შიმშილობა. გვალვა და მოუსავლიანობა მოედო ინდოეთის მეტ ნაწილს.

შიმშილობა ინდოეთში ჩვეულებრივი მოვლენაა, უკვე დიდი ხანია იგი ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრების განუყრელი თვისება გახდა. არც ერთ ქვეყანას მსოფლიოში იმდენი ადამიანი არ დაუკარგავს შიმშილობის შედეგად, რამდენიც ინდოეთმა დაჰკარგა. „დამშეული ინდუსი“ მთელ მსოფლიოში გავრცელებული თქმაა ძლიერ დაუძლურებული, უაღრესად გამოფიტული კაცის აღსანიშნავად. რა თქმა უნდა, შიმშილობა ინდოეთში სრულიადაც არ არის ამ ქვეყნის ბუნებრივი პირობების აუცილებელი შედეგი, როგორც ინდოელი ხალხის ზოგიერთი პირმოთნე გულშემატკივარი ცდილობს დახატოს საქმის მდგომარეობა. პირიქით, მოუსავლიანობა მხოლოდ გარკვეული სოციალური პირობების გამო იწვევს ესოდენ გამანადგურებელ შედეგს. ინდოეთის სოფელში არსებული სოციალური ურთიერთობის დროს, რაც აფერხებს ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას და იწვევს სოფლის მეურნეობის დეგრადაციას, შიმშილობა ინდოეთში აუცილებელი შედეგია ამ ქვეყნის სასურსათო ბალანსის თვით მცირე დარღვევისა, რომელიც გამოწვეულია გვალვით, ან მარცვლეულის იმპორტის შემცირებით. უკანასკნელ წლებში ორივე ეს ფაქტორი ერთად მოქმედებდა.

ინგლისისა და ინგლის-ინდოეთის პრესაში ამჟამად ბევრს მსჯელობენ ინდოეთისათვის დახმარების ღონისძიებათა შესახებ. არსებითად, საქმე არ სცილდება ქველმოქმედებას, რაც წვეთია ადამიანის უბედურებისა და სიღარიბის ზღვაში, რომელშიც ინდოეთის გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობენ. ყველა მიუკერძოებელი მეთვალყურესათვის ცხადია, რომ უსარგებლოა ლაპარაკი ინდოეთში შიმშილობასთან სერიოზულ ბრძოლაზე მანამდე, სანამ დახშულია გზა ამ ქვეყანაში სოციალური, კერძოდ აგრარული ურთიერთობის საშინელი ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად; ეს პრობლემა, თავისთავად იგულისხმება, განუყრელად არის დაკავშირებული ინდოეთის სოციალური ურთიერთობისა და პოლიტიკური მდგომარეობის მთელ კომპლექსთან.

ა. დიაკოვი

„ნოვოე ვრემია“ № 5

---

[1] ინდოეთის ეროვნული არმია ბირმაში შექმნილი იყო ინდოეთის ეროვნული კონგრესის ერთ-ერთი ყოფილი ლიდერის სუბჰა ჩანდრა ბოსის მიერ იაპონელთა მიერ ბირმის ოკუპაციის პერიოდში და შესდგებოდა ინდოელი სამხედრო ტყვე ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან. ეს არმია შემდეგში ინგლისელებს დანებდა ტყვედ.

*) დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 68.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

1 აპრილის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 1 აპრილი. (საკდესი). საერთაშორისო ტრიბუნალის 1 აპრილის დილის სხდომაზე დამცველნი განაგრძობდნენ რიბენტროპის ჯვარედინ დაკითხვას.

რიბენტროპს შეკითხვები პირველმა მისცა ადვოკატმა ზაიდლმა, რომელიც ბრალდებულ ფრანკს იცავს. მთავარმა ბრალმდებელმა სსრ კავშირისაგან ამხ. რუდენკომ ამასთან დაკავშირებით პროტესტი განაცხადა დაცვისა და ბრალდებულის ცდების წინააღმდეგ—ჩამოეშორებინათ ტრიბუნალის ყურადღება იმ საკითხებისაგან, რომელთა განხილვაც ამ პროცესზე სწარმოებს.

ზაიდლის შემდეგ დაკითხვა დაიწყო ბრალდებულ კაიტელის დამცველმა ადვოკატმა ნელტემ. თავისი შეკითხვებით ბრალდებულისადმი და მისი პასუხით დამცველი ცდილობს საქმე ისე წარმოსახოს, ვითომ ბრალდებული კაიტელი ეჭვს გამოსთქვამდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მიზანშეწონილებაში. როგორც ცნობილია, პროცესის მსვლელობაში გამოირკვა, რომ ბრალდებულმა კაიტელმა გამოსცა ბრძანება საბჭოთა სამხედრო ტყვეების დადაღვის შესახებ. დამცველი ნელტე ბრალდებულ რიბენტროპისათვის მიცემული შეკითხვებით ცდილობს საქმე ისე დახატოს, თითქოს კაიტელი დადაღვის წინააღმდეგი ყოფილიყოს.

შემდეგ ბრალდებულ დენიცის დამცველი ადვოკატი კრანცბიულერი, ბრალდებულ რედერის დამცველი ადვოკატი ზიმერსი, ადვოკატი ლატერნზერი, რომელიც გერმანიის სარდლობასა და გენერალურ შტაბს იცავს, ბრალდებულ რიბენტროპს აძლევენ მთელ რიგ შეკითხვებს.

დამცველთა მიერ ბრალდებულის დაკითხვის შემდეგ ჯვარედინი დაკითხვა დაიწყო ბრალდების ინგლისელმა წარმომადგენელმა დევიდ მაქსუელ-ფაიფმა. გერმანიის საგარეო პოლიტიკის აგრესიულობის დასამტკიცებლად იგი შეეხო ამ პოლიტიკის დამახასიათებელ ეპიზოდს, როცა ჰიტლერთან ბრალდებულთა რიბენტროპის, პაპენის, კაიტელისა და სხვების თანდასწრებით ავსტრიის კანცლერ შუშნიგზე სავსებით არაორჭოფულ გავლენას ახდენდნენ გერმანიასთან ავსტრიის შეერთებისა და ავსტრიის მთავრობის შეცვლის საკითხში.

„უპასუხეთ პატიოსნად მოცემულ კითხვაზე,—ამბობს ბრალმდებელი. — ადასტურებთ თუ არა თქვენ ამჟამად, რომ ნამდვილად არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ ბ-ნ შუშნიგზე 12 თებერვალს? გვიპასუხეთ მოკლედ. ნუ მიმართავთ თქვენს ვრცელ განმარტებებს“.

ბრალდებული რიბენტროპი ცინიკურად აცხადებს, ვითომც არა პირდაპირმა მუქარამ, არამედ „ჰიტლერის გამოჩენილმა პიროვნებამ და მისმა არგუმენტებმა მოახდინეს ასეთი შთაბეჭდილება შუშნიგზე“, და „შუშნიგი ბოლოსდაბოლოს დათანხმდა ფიურერის წინადადებაზე“. ბრალდებულის სიტყვით, თითქოს შუშნიგი ერთობ კმაყოფილი იყო მოლაპარაკებით. შემდეგ, ბრალმდებლის ბევრ კითხვაზე იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ კანცლერი შუშნიგი აიძულეს ხელი მოეწერა ჰიტლერისათვის საჭირო დოკუმენტებზე, ბრალდებული პასუხს არ იძლევა, იმიზეზებს, რომ მას დაავიწყდა „უმნიშვნელო დეტალები“.

ბრალდებული რიბენტროპი კატეგორიულად უარჰყოფს, რომ მან რაიმე მონაწილეობა მიიღო ჰიტლერის მიერ შუშნიგისადმი მოთხოვნათა წაყენებაში. იგი ამბობს, თითქოს მან არაფერი არ იცოდა იმის შესახებ, რომ ჰიტლერი შუშნიგისაგან მოითხოვდა სამი დღის განმავლობაში შეესრულებინა გერმანიის ყველა მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა გერმანიის ჯარების შეყვანით ავსტრიაში. მაშინ ბრალმდებელმა დევიდ მაქსუელ-ფაიფმა ბრალდებულ რიბენტროპს წარუდგინა ბრალდებულ იოდლის დღიური. რომელიც შეიცავს გერმანიის საგარეო პოლიტიკის აგრესიულობის დამამტკიცებელ ჩანაწერებს.

ფაიფმა რიბენტროპს მოაგონა ბრალდებულ იოდლის დღიურის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია გერმანიის სამხედრო გავლენაზე ავსტრიის მიმართ ანშლუსის მომზადების პერიოდში. „თქვენ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს,—ამბობს ფაიფი,—ეს უნდა გცოდნოდათ“. მაგრამ რიბენტროპი განაგრძობს უარს და ამტკიცებს, ვითომ მან არაფერი არ იცოდა იმის შესახებ, თუ რას ამზადებდნენ ჰიტლერელები ავსტრიის მიმართ.

— და თქვენ გსურთ დავიჯეროთ, რომ თქვენ სიმართლეს ეუბნებით ტრიბუნალს? — ეკითხება ფაიფი.—მაგრამ რატომღა გყავდათ თქვენ და თქვენს მეგობრებს შუშნიგი საპატიმროში და ბუხენვალდისა და დახაუს საკონცენტრაციო ბანაკებში 7 წლის განმავლობაში?

ამ კითხვაზე ზუსტად ვერ გიპასუხებთ, — ბუტბუტებს რიბენტროპი.

ტრიბუნალისათვის წინათ წარდგენილი დოკუმენტების გამოყენებით ბრალმდებელი მაქსუელ-ფაიფი თანმიმდევრულად ააშკარავებს ვერაგულ მეთოდებს, რომლებითაც ბრალდებული რიბენტროპი სარგებლობდა ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ აგრესიის მომზადებაში. აქ არის მოლაპარაკებაც იტალიელ შავხალათიანებთან და უნგრელ ფაშისტებთან. ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო გამოსვლის შესახებ, აქ არის ფარული ხელმძღვანელობაც ჰენლაინის სუდეტის ფაშისტური პარტიისადმი, რაც გერმანიის პრაღელი ელჩის მეშვეობით ხორციელდებოდა, აქ არის ჰიტლერელთა ძირგამომთხრელი მუშაობაც სლოვაკიაში და მთელ სახელმწიფოში და სხვ.

ამ უცილობელ დოკუმენტალურ სამხილთა გავლენით რიბენტროპი აღიარებს, რომ ინტრიგებისა და შანტაჟის საშუალებით სწორედ მან დაითანხმა იტალია და უნგრეთი მთელი ჩეხოსლოვაკიის დაპყრობაზე და აწყობდა ყოველგვარ პროვოკაციას ჩეხოსლოვაკიის ცალკეულ ნაწილებში.

რიბენტროპის შემდგომი დაკითხვა გადაიდო 1 აპრილის საღამოს სხდომისათვის.

1 აპრილის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 1 აპრილი. (საკდესი). ტრიბუნალის 1 აპრილის საღამოს სხდომაზე ბრალდებული რიბენტროპი კვლავ გაურბოდა მამხილებელ კითხვებზე პასუხის გაცემას. როცა ბრალმდებელი ფაიფი ეკითხება ზეგავლენა მოახდინეს თუ არა ჩეხოსლოვაკიაზე მის ტერიტორიაზე გერმანელთა ჯარების შესვლისას, —ბრალდებული ცინიკურად აცხადებს. „არა“.

მაგრამ ბრალმდებლის ჯვარედინი დაკითხვით ბრალდებული იძულებულია აღიაროს, რომ ჩეხოსლოვაკიაზე ზეგავლენა მოახდინეს.

ბრალდებული კვლავ გაურბის პირდაპირ პასუხს, როცა ბრალმდებელი ეკითხება, მართალია თუ არა, რომ, როცა ლონდონში გერმანიის ელჩად მიემგზავრებოდა, იგი, რიბენტროპი, სთვლიდა, რომ ინგლისთან შეთანხმების შანსები თითქმის ნოლს უდრიდა. ხოლო როცა ბრალმდებელმა წარუდგინა ბრალდებულის საკუთარი დოკუმენტი, რიბენტროპი რაღაცას ბუტბუტებს იმის შესახებ, რომ „სალებავების ოდნავ გამუქება მომიხდაო“.

შემდეგ რიბენტროპი ცდილობს დაარწმუნოს ტრიბუნალი, რომ გერმანიას უკანასკნელ დღემდე განზრახული ჰქონდა დიპლომატიური გზით გადაეჭრა დანციგის საკითხი. იგი ამ ლაყბობას მას შემდეგაც კი განაგრძობს, რაც ბრალმდებელი უკითხავს ციტატს ჰიტლერის 1939 წლის 23 მაისის სიტყვიდან. „დანციგი,—ამბობდა მაშინ ჰიტლერი,—მოლაპარაკების საგანი არ არის. საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ გავაფართოოთ ჩვენი საარსებო სივრცე აღმოსავლეთით. სხვა შესაძლებლობა არ არსებობს“. რიბენტროპი აცხადებს, რომ მას ოდნავი წარმოდგენაც არა აქვს ამ სიტყვაზე.

ბრალდებული აღიარებს, რომ იგი აფინანსებდა კვისლინგის ძირგამომთხრელ საქმიანობას ნორვეგიაში. ყოველივე დანარჩენს ბრალდებული ყოველნაირად უარჰყოფს და აცხადებს, რომ არაფერი იცის არც კვისლინგის შეხვედრებზე ჰიტლერთან, არც კვისლინგის მოლაპარაკებაზე რედერთან, არც კვისლინგის მიწერ-მოწერაზე გერმანიის უმაღლეს სარდლობასთან. ბრალდებული იქამდე მიდის, რომ იმასაც კი ამტკიცებს, თითქოს ნორვეგიაზე თავდასხმის ამბავი მან თავდასხმამდე მხოლოდ 36 საათით ადრე შეიტყო.

ასეთსავე ტაქტიკას ადგას ბრალდებული ყველა იმ საკითხის შესახებ, რაც ბელგიასა და ჰოლანდიას ეხება. იგი აცხადებს, თითქოს არაფერი იცოდა არც ამ ქვეყნებზე თავდასხმის მომზადების, არც ამ ქვეყნების საზღვრებისაკენ ჯარების გადაყვანის შესახებ, არც ჰიტლერის პირდაპირი დირექტივების შესახებ, რომელიც მოითხოვდა ბელგიისა და ჰოლანდიის ულმობლად და გადაჭრით განადგურებას. ბრალდებული მაშინაც კი განაგრძობს უარყოფას, როცა ბრალმდებელი წარუდგენს მისი, რიბენტროპის, საკუთარ დოკუმენტს—ჩიანოსთან საუბრის ჩანაწერს. ამ საუბრის დროს რიბენტროპმა გამოსთქვა ჰიტლერული მთავრობის გადაწყვეტილება „ბოლო მოეღოთ ნეიტრალებისათვის“ და გერმანიასა და იტალიას შორის გაენაწილებინათ ისინი. გერმანიას რიბენტროპი ბელგიასა და ჰოლანდიას აძლევდა, იტალიას კი— იუგოსლავიას.

ჰიტლერი და მუსოლინი შეთანხმდნენ ხელში ჩაეგდოთ ბალკანეთი, რათა გამოეყენებინათ მისი რესურსები ხანგრძლივი ომის საწარმოებლად. ბრალმდებელი აქვეყნებს ჰიტლერის განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ მას, ჰიტლერს, „მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს არ დაელოდოს ახალი მთავრობის დეკლარაციას ლოიალობის შესახებ და ყველაფერი მოამზადოს იმისათვის, რომ მოსპოს იუგოსლავია, როგორც ნაციონალური ერთეული. არავითარი დიპლომატიური შეკითხვა არ იქნება გაკეთებული. ულტიმატუმი არ იქნება წარდგენილი. თავდასხმა დაიწყება, როგორც კი მზად იქნება საჭირო ჯარები და შეიარაღება“.

ბრალდებული: მე არ მესმის, რა გსურთ სთქვათ ამით.

ბრალმდებელი: ახლავე გაიგებთ. თქვენი პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ თავს დასხმოდით იუგოსლავიას რაიმე დიპლომატიური ნაბიჯის გადაუდგმელად. თქვენ გადაწყვეტილება მიიღეთ თავს დასხმოდით იუგოსლავიას, დაგენგრიათ ბელგრადი. სწორია ეს?

ბრალდებული: ამ კითხვაზე არც ჰო შემიძლია გიპასუხოთ და არც არა, თუ სათანადო განცხადება არ გავაკეთე.

ბრალმდებელი: თუ არ შეგიძლიათ გვიპასუხოთ ჰო თუ არა, მაშინ სულ ნუ გვიპასუხებთ.

რიბენტროპი კვლავ მთლიან უარყოფას მიმართავს, როცა ბრალმდებელი იწყებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გარემოებათა გამორკვევას. რიბენტროპი ირწმუნება, თითქოს მან არაფერი იცოდა ჰიტლერის გადაწყვეტილებაზე თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს, არ იცოდა, რომ ამ თავდასხმისათვის სამხედრო მზადება სწარმოებდა, რაც ჯერ კიდევ 1940 წლის ზაფხულში დაიწყო. ბრალმდებელს ზედიზედ მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ააშკარავებენ ამ მზადებას. მაგრამ რიბენტროპი ერთსა და იმავეს იმეორებს: „არა, ამაზე მე არაფერი ვიცოდი“.

ბრალმდებელი: მაგრამ 1940 წლის დეკემბერშიც, როცა ჰიტლერმა ბარბაროსას გეგმა დაამტკიცა, მან არაფერი არ გითხრათ?

ამ კითხვაზეც ბრალდებული აჩემებულ არას უპასუხებს.

ასევე მონოტონურად ცდილობს ბრალდებული უარჰყოს თავისი როლი ინგლისსა და შეერთებულ შტატებზე თავდასხმისათვის იაპონიის წაქეზებაში. იგი ამის უარყოფას მას შემდეგაც კი განაგრძობს, რაც მას გერმანული დოკუმენტი წარუდგინეს.

ბრალდებული უსაზღვრო სიცრუის ტაქტიკაზე მაშინაც კი არ იღებს ხელს, როცა ლაპარაკი იწყება თვითონ მასზე. მას არასგზით არ სურს აღიაროს, რომ სს-ში ირიცხებოდა. ბრალმდებელი ძალიან იოლად ააშკარავებს ამ სიცრუეს იმით, რომ წარუდგენს რიბენტროპის მთელ სს-ის პირად საქმეს რიბენტროპზე, სადაც ფიქსირებულია სს-ელ რიბენტროპის დაწინაურება დაბალი ხარისხიდან ობერგრუპენფიურერობამდე, რაც გენერალ-ლეიტენანტის წოდებას უდრიდა.

ბრალმდებელი მოაგონებს, რომ ბრალდებულს საკმაოდ გაცხოველებული მიწერ-მოწერა ჰქონდა ჰიმლერთან. ბრალდებული მკვირცხლად უპასუხებს: „დიახ. ჩვენ სს-ის საქმეებზე ფრიად სხვადასხვა დარგში ვხვდებოდით ერთმანეთს“.

ბრალმდებელი: განსაკუთრებით საკონცენტრაციო ბანაკების დარგში?

ბრალდებული საჩქაროდ იქნევს თავს უარყოფის ნიშნად და წამოიძახებს: „არა, საკონცენტრაციო ბანაკებზე მე არაფერი ვიცი“. ბრალმდებელი იძულებულია წარადგინოს რუკა, რომელზეც მკაფიოდ სჩანს, რომ რიბენტროპის ბევრი მამულიდან ზოგი პირდაპირ ეკვროდა საკონცენტრაციო ბანაკებს. რიბენტროპი ჯიუტად იქნევს თავს და ირწმუნება, რომ საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ პირველად აქ, პროცესზე, შეიტყო.

ბრალდებული აგრეთვე აცხადებს, თითქოს არაფერი გაუგონია ჰიტლერელების მიერ ოკუპირებული ქვეყნების პატრიოტთა სასტიკი აწიოკების შესახებ. ხოლო როცა ბრალმდებელი წარუდგენს მას გერმანულ დოკუმენტს, რომელშიც თეთრზე შავით არის ჩაწერილი, რომ რიბენტროპი ურჩევდა ჩიანოს „გადაებუგა პარტიზანული რაიონები“. ბრალდებული ცდილობს „დაამტკიცოს“, რომ სიტყვა „გადაბუგვა“ მხოლოდ „უბრალო სიტყვაა“. ამის შემდეგ ბრალმდებელი წარუდგენს უდავო დოკუმენტს, რომელშიც ნათქვამია, რომ რიბენტროპი ურჩევდა იტალიელებს მოესპოთ პარტიზანები — კაცები, ქალები და ბავშვები. ბრალდებული დიდხანს ცდილობს გვერდი აუაროს პირდაპირ პასუხს, მაგრამ მაინც იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ეს ნათქვამი აქვს.

1943 წლის 17 აპრილს რიბენტროპმა ურჩია იტალიის მთავრობას მიეღო გაფიცული იტალიელების წინააღმდეგ „ულმობელი, სასტიკი, მხეცური ზომები“, იმის მსგავსი, რასაც გერმანელები დანიასა და ნორვეგიაში იყენებდნენ. იგი აგრეთვე ურჩევდა ულმობლად მოესპოთ ბერძენი პატრიოტები. „ბერძნებს უნდა აჩვენოთ,—ამბობდა იგი,—ვინ არის ბატონ-პატრონი ქვეყანაში. ამგვარი მკაცრი ზომები საჭიროა. ეს ომი ჯენტლმენების ომი როდია, არამედ ომია მოსპობისათვის“. სხვა ადგილას რიბენტროპი მოითხოვდა უაღრესად გადამწყვეტ და მკაცრ ზომებს იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ გერმანია მუშახელით. სიცრუის მორევში საბოლოოდ ჩაფლული დამნაშავე იქაც ბუტბუტებს, რომ ეს თითქოს „არ გამოხატავს მის თვალსაზრისს“.

ამით მთავრდება ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

ტრუმენის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 3 აპრილი. (საკდესი). პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა ტრუმენმა პასუხი გასცა შეკითხვაზე, თუ რა გავლენას მოახდენს ამერიკის შეერთებული შტატების ქვანახშირის მრეწველობაში მომხდარი გაფიცვა წარმოების პროგრამაზე და განაცხადა, რომ ეს გაფიცვა ყველაფერს თავდაყირა დააყენებს. მან სთქვა, რომ ფოლად-სამსხმელო მრეწველობაში გაფიცვამ გამოიწვია 7 მილიონი ტონა (ყოველწლიური გამოშვების $^{1}/_{9}$) მზა ფოლადის დაკარგვა, რომელიც საჭირო იყო რეკონვერსიისა და ახალი მრეწველობისათვის. უპასუხა რა შეკითხვაზე, გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს თუ არა ინფლაციის თავიდან ასაცილებლად დამატებითი საფინანსო კონტროლი, როგორც, მაგალითად, საბანკო კრედიტის შემდგომი შეზღუდვა, ტრუმენმა სთქვა, რომ ეს წინადადება სხვა წინადადებებთან ერთად შესწავლის პროცესშია, მაგრამ არავითარი დაუყოვნებლივი ცვლილება გათვალისწინებული არ არის.

ტრუმენმა განაცხადა, რომ არმია იღებს ზომებს დახმარების გასაწევად ჰავაის კუნძულებზე მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით.

სოციალისტური და კომუნისტური პარტიების ორგანიზაციათა შეერთება ლაიპციგში

ბერლინი, 4 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „დოიჩე ფოლკსცაიტუნგი“ იუწყება, რომ ლაიპციგში შესდგა სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიების პარტიული ყრილობები. პარტიულმა ყრილობებმა ცალცალკე უყარეს კენჭი წინადადებას ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნის შესახებ. გადაწყვეტილება მუშათა კლასის ერთიანობისა და ლაიპციგში ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნის შესახებ მიღებულ იქნა 1.599 ხმის უმეტესობით ერთის წინააღმდეგ.

მწერლები რკინიგზის სკოლებში

თბილისის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რკინიგზის სკოლებში მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის.

სხვა ღონისძიებათა შორის მხატვრული აღზრდის სახლის ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა მწერლებისა და პოეტების ახლო დაკავშირება სკოლებთან. ამ მიზნით ქუთაისის, სამტრედიის, ხაშურის, გორის, გურჯაანისა და ნავთლუღის რკინიგზის სკოლებში გაიგზავნა მწერალთა ბრიგადა ლიტერატურული საღამოების ჩასატარებლად. ბრიგადაში შედიოდნენ გიორგი ქუჩიშვილი, სოლომონ თავაძე და სიმონ წვერავა. მწერალთა ბრიგადამ აღნიშნული რაიონების ყველა რკინიგზის სკოლებში ჩაატარა ლიტერატურული საღამოები ლექციები, მოხსენებები ქართული ლიტერატურის განვითარების საკითხებზე.

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

5 აპრილს, საღამოს 8 საათზე, მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტთა, ლექტორთა და მომხსენებელთათვის შესდგება კონსულტაცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“** (15 დღის მიმოხილვა).

კონსულტაციას ჩაატარებს ამხ. **ფრიშენბერგი.**

5 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ფილოსოფიაში ჩატარდება დოცენტ ქორიძის კონსულტაცია.

6 აპრილს, დილის 9 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების მუშაკებისა და საწარმოთა პარტკაბინეტების გამგეებისათვის შესდგება სემინარული მეცადინეობის შესავალი ლექცია თემაზე: **„ლენინის წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“.**

ლექციას ქართულ ენაზე წაიკითხავს დოცენტი **გორგილაძე,** რუსულ ენაზე—დოცენტი **ახათაიანი.**

ახალი წიგნები

გამომცემლობა „კომუნისტმა“ დაბეჭდა გიორგი ჯიბლაძის ბროშურა „ალექსანდრე წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანი“. ბროშურაში გარჩეულია წულუკიძის კრიტიკული წერილები ლალიონისა და დავით კლდიაშვილის შესახებ.

ბროშურის რედაქტორია ლ. ებანოიძე.

* * *

საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოების გამომცემლობამ ამ დღეებში დაბეჭდა დოცენტ სერგი მაკალათიას წიგნი „საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში“. წიგნს დართული აქვს სახლკოშკების სურათები, ჭრილები და გეგმები.

წიგნი, რომლის რედაქტორია პროფესორი ლ. მელიქსეთ-ბეგი, შეიცავს 68 გვერდს და ღირს 25 მანეთი.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—5/IV—„სევილიელი დალაქი“, 6/IV—„ტოსკა“. **რ. უსთაველის სახელობის**—5/IV—„ტირიფის ქვეშ“, 6/IV—„ინსპექტორი მოვიდა“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 5/IV—„შესაფერი ჯილდო“, 6/IV—„დავით აღმაშენებელი“. **გრიბოედოვის სახელობის** — 5/IV — „მელიები“, 6/IV — „თვითმფრინავი დღე-ღამეს იგვიანებს“. **სომხური**—5/IV—„შესაფერი ჯილდო“, 6/IV—„მოკლული მტრედი“.

კინოებში

5 აპრილს: რუსთაველის სახელობის დამკვრელში—„ზიგმუნდ კოლოსოვსკი“. კომკავშირელი და სპარტაკი—„დავით გურამიშვილი“. ლუქსემბურგის სახელობის—„უმზითვო“.

პასუხისმგებელი რედაქტორი

ბ. ნანიტაშვილი

6 და 7 აპრილს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართება **საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი.**

მხატვრული ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი **გრიგოლ კოკელაძე,** ქორეოგრაფი **ჯანო ბაგრატიონი.**

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება სალაროში.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იუწყება ქალაქის საბჭოს დეპუტატ **შალვა ბესარიონის-ძე ჭიჭინაძის** გარდაცვალებას.

ოჯახი იუწყება **იორამ სპირიდონის-ძე მშვიდობაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ლანჩხუთში 7/IV.

ოჯახი იუწყება **ისრაილ ისაკის-ძე ატენელოვის** გარდაცვალებას.

მოქალაქე **თამარ მიხეილის-ასულმა კუჭავამ,** მცხოვრებმა ახალციხის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მიხეილ ზინოვის-ძე მაჭარაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ნადეჟდა კონსტანტინეს-ასულმა ლახნომ,** მცხოვრებმა ჰაჩაბლის ქ. № 4-ა აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **თევდორე ავანის-ძე ლახნოსთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

ოჯახი იუწყება **ვიქტორ გიორგის-ძე კალანდაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7/IV სოფ. ხიდისთავში.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00045